პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 223 (9999) | კვირა, 19 სექტემბერი, 1954 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერშია:

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისალმება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისადმი (1-ლი გვერდი).

საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩავატაროთ საშემოდგომო თესვა (მე-2 გვერდი).

გ. ოქრუაშვილი. — წალკის რაიონი უნდა გადაიქცეს მეკარტოფილეობის განვითარების ბაზად (მე-2 გვერდი).

მტკიცედ დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი (მე-2 გვერდი).

ჩვენი დედაქალაქის ხვალინდელი დღე [illegible] ლამაზდება. თბილისის ახალი არქიტექტურული სახე. ახალი ძვირფასი ქსოვილები (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

თვალსაჩინო მოვლენა ჩინელი ხალხის ცხოვრებაში

ყველა საბჭოთა ადამიანი დიდი ინტერესით ადევნებს თვალყურს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესიის მუშაობას, რომელიც 15 სექტემბერს გაიხსნა პეკინში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მისასალმებელ დეპეშაში სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებისადმი, რომელიც დღეს ქვეყნდება, ნათქვამია:

„სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია, რომელიც შეიკრიბა, რათა მიიღოს სახალხო კონსტიტუცია, რომელიც ამკვიდრებს ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ჩინელი ხალხის ხანგრძლივი გმირული ბრძოლის ნაყოფს, თვალსაჩინო მოვლენაა ჩინელი ხალხის ცხოვრებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ღრმა პატივისცემას უცხადებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას და მისი სახით — მოძმე ჩინელ ხალხს და წარმატებებს უსურვებს ჩინეთის სახალხო სახელმწიფოს დიდებისა და აყვავებისათვის ბრძოლაში“.

კონსტიტუციის პროექტის განხილვა, რომელიც უნდა მიიღოს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებამ, ჩინეთში დაემთხვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის ხუთი წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებას. ისტორიული წარმატებები, რომლებიც ჩინელმა ხალხმა მოიპოვა ამ ხუთი წლის მანძილზე, ჩაწერილია კონსტიტუციის პროექტში.

„ეს კონსტიტუცია, — ნათქვამია პროექტში, — ამკვიდრებს სახალხო რევოლუციის მონაპოვრებს ჩვენს ქვეყანაში და ახალ გამარჯვებებს პოლიტიკისა და ეკონომიკის დარგში, რომლებიც მოპოვებულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის შექმნის დროიდან, აგრეთვე ასახავს სახელმწიფოს ძირეულ მოთხოვნებს გარდამავალ პერიოდში და ხალხის ფართო მასების საერთო მისწრაფებებს სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის მიმართ“.

ჩინეთის რევოლუციის გამარჯვება კანონზომიერი შედეგია ჩინეთის ხალხის უფართოესი მასების მრავალი წლის გმირული ბრძოლისა თავიანთი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. ამ ბრძოლისათვის ჩინელი ხალხის დამრაზმავი და შთამაგონებელია ჩინეთის კომუნისტური პარტია, ნაცადი ბელადის ამხანაგ მაო ძე-დუნის მეთაურობით. ეყრდნობოდა რა მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის მძლავრი ბანაკის მხარდაჭერას, ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ მიაღწია იმას, რომ დაამხო ფეოდალატე ჩანკაიშელთა რეაქციული ხროვა და უცხოელი იმპერიალისტები. ჩინელმა ხალხმა მოიპოვა ნამდვილი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და ეროვნული სუვერენიტეტი.

ჩინელი ხალხის მძლავრი შემოქმედებითი ძალები მთელი თავისი სიდიადით გამოვლინდნენ მხოლოდ სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარების შემდეგ. კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ჩინეთში განხორციელდა რევოლუციური აგრარული გარდაქმნები, რომლებმაც ხორცი შეასხეს გლეხთა საუკუნეობრივ ოცნებას მემამულეთა მიწების მათთვის გადაცემის შესახებ. მოკლე ვადაში დამთავრდა მრავალი წლის ომებითა და იმპერიალისტური ძარცვით დანგრეული სახალხო მეურნეობის აღდგენა. ხალხის გმირულმა შრომამ, ისტორიულმა დემოკრატიულმა გარდაქმნებმა შექმნეს წინაპირობები გეგმიან ეკონომიურ მშენებლობაზე გადასვლისათვის. 1953 წელს ჩინელი ხალხი შეუდგა თავისი პირველი ხუთწლედის შესრულებას.

ჩინეთის კომუნისტურმა პარტიამ დასახა ჩინეთში ახალი ცხოვრების მშენებლობის დიადი პროგრამა. ამ პროგრამას მხურვალედ უჭერენ მხარს მშრომელი მასები, რომლებმაც კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმეს თავიანთი რიგები კომუნისტური პარტიის გარშემო.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებაზე კომუნისტური პარტიის პოლიტიკას სავსებით იწონებენ. კრება ცხადყოფს ჩინელი ხალხის დიად ერთიანობას.

ხაზგასმით აღნიშნა რა სესიის უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა, ამხანაგმა მაო ძე-დუნმა თქვა: „ეს არის ნიშანსვეტი, რომელიც მოასწავებს ახალ გამარჯვებებსა და ახალ წარმატებებს, რომლებიც ჩვენმა ხალხმა მოიპოვა ჩვენი რესპუბლიკის შექმნის მომენტიდან — 1949 წლიდან. კონსტიტუცია, რომელიც უნდა შეიმუშაოს და მიიღოს ამ სესიამ, მნიშვნელოვნად წასწევს წინ სოციალიზმის საქმეს ჩვენს ქვეყანაში“.

კონსტიტუციის პროექტის განხილვაში, როგორც ნათქვამია ამხანაგ ლიუ შაო-ცის მოხსენებაში, რომელიც დღეს ქვეყნდება, მონაწილეობა მიიღო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ახ ორმოცდაათ მილიონზე მეტმა მოქალაქემ. ამჟამად სახალხო წარმომადგენელები, გამოხატავენ რა თავიანთი ამომრჩევლების ნებას, მხურვალედ უჭერენ მხარს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტს.

შრომის გმირებმა — დეპუტატებმა ვან ჩუნ-ლუნმა და ხაო ძიან-სიუმ, რომლებიც გამოვიდნენ ჩინეთის მუშათა კლასის სახელით, მოიწონეს კონსტიტუციის პროექტი და აღნიშნეს, რომ სოციალისტური საზოგადოების აშენებაში დიდმნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის ჩინელ მუშებს.

„ჩვენ, მუშები, — თქვა ვან ჩუნ-ლუნმა, — ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონი გავხდით, ჩვენ ვშრომობთ ბედნიერი ცხოვრების აშენებისათვის, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებისათვის. ბედნიერების, სოციალიზმის გზას გვიჩვენებს ჩვენი კონსტიტუცია“.

სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატივის თავმჯდომარემ დეპუტატმა ლი შუნ-დამ თავის სიტყვაში განაცხადა: „საკუთარი ცხოვრების მაგალითით ჩინელი გლეხები ხედავენ, რომ ჩვენი კონსტიტუცია ამკვიდრებს სახალხო-დემოკრატიული წყობილების დიად რეალურ შედეგებს. სწორედ ამიტომ თვითეული ჩინელი გლეხი მხურვალედ უჭერს მხარს და იწონებს კონსტიტუციის წარმოდგენილ პროექტს. ჩვენ კიდევ უფრო განვამტკიცებთ კავშირს მუშათა კლასთან და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით აქტიურად ვიბრძოლებთ დიად სოციალისტურ გარდაქმნათა განხორციელებისათვის“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა არის სახალხო დემოკრატიის სახელმწიფო, რომელსაც ხელმძღვანელობს მუშათა კლასი და რომელიც ეყრდნობა მუშათა და გლეხთა კავშირს, ნათქვამია კონსტიტუციის პროექტში. მუშათა კლასთან და გლეხობასთან ერთად თავისი სამშობლოს საკეთილდღეოდ შემოქმედებითი შრომას ეწევა აგრეთვე ჩინეთის ინტელიგენცია.

— ჩვენ პირი აკრული გვქონდა, ხელის განძრევა არ შეგვეძლო, — ასეთი ხატოვანი სიტყვებით გაიხსენა ჩანკაიშისტური რეაქციის შავბნელი წლები ცნობილმა ჩინელმა მწერალმა ლაო შემ, რომელიც გამოვიდა სახალხო წარმომადგენელთა სესიაზე. მწერალმა ლაო შემ, ცნობილმა მეცნიერმა ჯან და-იუმ და სხვებმა ჩინეთის ინტელიგენციის სახელით მხურვალედ დაუჭირეს მხარი კონსტიტუციის პროექტს.

გამოხატა რა ჩინეთის ასეულ მილიონობით ქალის ფიქრები და მისწრაფებანი, დეპუტატმა დენ ინ-ჩაომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ კონსტიტუციის პროექტი ამკვიდრებს ახალი ჩინეთის დიად მიღწევას — ქალის განთავისუფლებას.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში ხორცშესხმულია ჩინელი ხალხის საუკეთესო იმედები და ოცნება. ჩინეთის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში მშრომელთა წმიდა უფლებებად პირველად არის აღიარებული შრომის, დასვენების, განათლების უფლება. კონსტიტუცია კანონმდებლობითი ფორმით ამკვიდრებს სახელმწიფოს დემოკრატიულ წყობილებას, რომელიც უზრუნველყოფს ხალხის უფართოესი მასების აქტიურ მონაწილეობას სახელმწიფოს საქმეებში, ეკონომიურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი ჩვენი ეპოქის შესანიშნავი დოკუმენტია. იგი მოწმობს იმ ხალხის დიდ წარმატებებს, რომელმაც მოიშორა კოლონიური მონობისა და ფეოდალური ჩაგვრის ბორკილი, მოწმობს ჩინელი ხალხის მტკიცე გადაწყვეტილებას ააშენოს სოციალიზმი თავის განთავისუფლებულ ქვეყანაში.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ყველა დეპუტატის გამოსვლები გამსჭვალულია ჩინელი ხალხის მისწრაფებით მშვიდობისადმი. ამავე დროს დეპუტატები, გამოხატავენ რა ხალხის ნებას, მოუწოდებენ განმეცინონ რესპუბლიკის თავდაცვა, მისი სახელოვანი შეიარაღებული ძალები, რომლებიც მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან, გაძლიერონ სიფხიზლე იმპერიალისტებისა და მათი აგენტურის ხრიკების წინააღმდეგ.

„ბრძოლა მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კაცობრიობის პროგრესის კეთილშობილური მიზნებისათვის, — ნათქვამია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში, — ჩვენი ქვეყნის უცვლელი კურსია საერთაშორისო საქმეებში“.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დიდი მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოა. მისმა ღონისძიებებმა მშვიდობისათვის ბრძოლაში მთელი დედამიწის ასობით მილიონი ადამიანის აღიარება ჰპოვა. ფართოდება მოძრაობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასა და საერთაშორისო ურთიერთობის მთელ სისტემაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კანონიერ უფლებათა აღდგენისათვის. ახლა განსაკუთრებით ყველასათვის ცხადია, თუ რა უაზროა პოზიცია ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომლებიც ხელს უშლიან ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას დაიკავოს თავისი კანონიერი ადგილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი სულ უფრო რწმუნდება იმაში, რომ მშვიდობის ინტერესებისათვის საჭიროა ჩინეთის დიდი სახელმწიფო მონაწილეობდეს ყველა უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაში.

შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი ბურჯია საბჭოთა კავშირ-ჩინეთის მეგობრობა. ორი დიდი ხალხის ეს მეგობრობა დღითიდღე მტკიცდება და სულ უფრო მზარდ როლს ასრულებს მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმის ბანაკის შემდგომი გაძლიერებისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა ხალხი მეგობარ ჩინელ ხალხს უსურვებს ახალ წარმატებებს თავისი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის პროგრამის განხორციელების, სოფლის მეურნეობის განვითარებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში, აგრეთვე თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით განმტკიცების საქმეში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ მეგობრობას!

„პრავდის“ 18-IX მოწინავე.

პროექტი ვ. ი. ლენინის ძეგლისა, რომელიც აიგება თბილისში.

შახვმა ცხრა თვის დავალება შეასრულა

ტყიბული. (საკ. კორ.). ახალი საწარმოო წარმატება მოიპოვა ტყიბულ-ქვანახშირის ტრესტის მოლოტოვის სახელობის შახტის კოლექტივმა. მეშახტეებმა 20 დღით ადრე — 10 სექტემბრისათვის გაანალიზეს 9 თვის დავალება და გადაწყვიტეს თვის ბოლოსათვის სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცენ ათასობით ტონა ქვანახშირი.

პირველი დეკადის შედეგების მიხედვით კვლავ მოწინავეთა რიგებშია საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული ლენინის სახელობის შახტი. ქვანახშირის ამოღების ათი დღის დავალება გადაჭარბებით გაანალდეს აგრეთვე სტალინის სახელობისა და გელათის შახტის კოლექტივებმა.

საწარმოო რეზერვების გამოყენებით

ჭიათურა. (საკ. კორ.). მაღაროებში და მშენებლობებზე გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება დიდი ოქტომბრის დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის. წინ მიდის ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. იგი გეგმის გადამეტებით იძლევა მაღალხარისხოვან პროდუქციას. მაღაროელებმა უკვე შეასრულეს პირველი ხარისხის მარგანეცის დამზადების ცხრა თვის გეგმა და წელს ორ მილიონამდე მანეთი დაზოგეს. ამ საქმეში გარკვეული წვლილი აქვს შეტანილი ცენტრალური გამაუხვებელი ფაბრიკის კოლექტივს, რომელიც საწარმოო ტექნოლოგიის გაუმჯობესებით სერიოზულ წარმატებას აღწევს.

მაღაროს კოლექტივის საერთო წარმატებას ხელს უწყობს ის, რომ აქ გონივრულად იყენებენ საწარმოო რეზერვებს, რითაც ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, აძცირებენ ტონა მარგანეცის თვითღირებულებას.

თავდადებული შრომით სახელი გაითქვეს მაღაროელმა მბურდავებმა ლ. გოგატიშვილმა, გ. თოდაძემ, გ. ბაქრაძემ, გ. ტალახაძეს, ა. პონომარენკომ, მტვირთავ მექანიზმებზე მომუშავეებმა შ. სირაძემ, ო. ქამუშაძემ, ს. შველიძემ, რ. დავლაძემ, გ. კეკენაძემ, გ. ცუცქირიძემ, ზ. კაპანაძემ, რომლებიც ერთმანეთს ეჯიბრებიან და საერთო წარმატებას აღწევენ.

დიადი დღესასწაულის ღირსეულად შეხვედრისათვის თავდადებულად შრომობენ აგრეთვე ორჯონიკიძის, კაგანოვიჩის, დმიტროვის სახელობის მაღაროებისა და მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივები.

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

მოწინავე კოლმეურნეთა შეხვედრა

სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის ადმინისტრაციული კორპუსის კონფერენც-დარბაზში 17 სექტემბერს შეიკრიბა 22 ოლქის, მხარისა და რესპუბლიკის ათასამდე კოლმეურნე.

მათ დიდი ყურადღებით მოისმინეს სტალინური პრემიის ლაურეატის, კრასნოდარის სახელმწიფო სასელექციო სადგურის დირექტორის მოადგილის, სელექციონერ პ. ლუკიანენკოს მოხსენება.

— ყუბანის კოლმეურნეები, — თქვა მან, — აფართოებენ რა სხვადასხვა ჯიშის ხორბლის ნათესებს, ამით იყენებენ მარცვლეულის წარმოების გადიდების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რეზერვს. სხვადასხვა ჯიში შეიძლება დაითესოს სხვადასხვა წინამორბედის შემდეგ, ხოლო შემოსავლის სხვადასხვა ვადა საშუალებას იძლევა მოსავალი ავიღოთ დაუძაბავად და უდანაკარგოდ. ახლა ყუბანში წარმატებით მიმდინარეობს „საადრეო“ № 1 და № 3 ჯიშის ხორბლის გამოცდა, რომლებიც სხვა ჯიშებზე შვიდი-რვა დღით ადრე შემოდის. წყდება პურის ჩაუწოლობის პრობლემა. ამას წინათ ჩვენს მხარეში გამოყვანილ იქნა დაბალღეროიანი ჯიშის ხორბალი „უფხო-4“. მისი მოსავალი მრავალწლიანი ბალახების შემდეგ ნახნავზე 46,2 ცენტნერია ჰექტარზე, ხოლო ცალკე საცდელ მინდორზე ამ ხორბლის მოსავალმა ჰექტარზე 62 ცენტნერს მიაღწია.

ყუბანის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ბევრ ახალ აგროტექნიკურ წესს იყენებენ. ფართოდ არის დანერგული თესვისათვის ნაადგის მომზადება ნახვეარადნეულის ტიპის მიხედვით: თავთავიანი კულტურების მოსავლის აღების შემდეგ ივლისის დამლევს წარმოებს ხვნა და ამასთან ერთად ფარცხვა, ხოლო შემდეგ ამ მინდვრის როგორც ანეულის მოვლა. ნახვეარადნეულის შემოღებით საბჭოთა მეურნეობა „ყუბანმა“ 1953 წლის არახელსაყრელ პირობებშიც კი დიდ ფართობზე აიღო 28,4 ცენტნერი მარცვალი ჰექტარზე. ყუბანელებმა უარი თქვეს საშემოდგომო ხორბლის ნათესების გაზაფხულის ფარცხვაზეც. შეცვალეს იგი როტაციული თიხით დამუშავებით. ამან ყუბანის პირობებში ერთიორი ცენტნერით გაადიდა მოსავლიანობა ჰექტარზე.

დიდი ინტერესი გამოიწვია კუსტანაის ოლქის პარტიული სკოლის ეკონომიკის კათედრის გამგის მოადგილის ამხ. სუმანოვის სიტყვამ. მან განაცხადა, რომ კურგანის ოლქის კოლმეურნეებმა, რომლებიც ნერგავენ ტ. მალცევის მეთოდს, წინადადება შეიტანეს მზრალად ხვნაც განხორციელდეს უფრთო გუთნით.

შეხვედრის მონაწილეებმა ჩვენი ქვეყნის ყველა კოლმეურნეს მოუწოდეს ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება 1955 წლის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში მონაწილეობის უფლებისათვის.

(საკდესი).

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მხურვალედ მიესალმება სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველ სესიას.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრება მუშაობას იწყებს ისეთ პირობებში, როცა ჩინელმა ხალხმა, რომელსაც კომუნისტური პარტია მეთაურობს, თვალსაჩინო წარმატებები მოიპოვა პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ მშენებლობაში.

სახალხო წარმომადგენელთა ყველა საფეხურის კრებების, მასთან სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების ამას წინათ დამთავრებული საყოველთაო არჩევნები კვლავ მოწმობს, რომ ჩინეთის ხალხი აქტიურ მონაწილეობას იღებს თავისი სახალხო-დემოკრატიული სახელმწიფოს მართვაში. არჩევნებმა ცხადყო, რომ სახალხო-დემოკრატიულ ხელისუფლებას ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში მხარს უჭერს მთელი ხალხი.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი სესია, რომელიც შეიკრიბა, რათა მიიღოს სახალხო კონსტიტუცია, რომელიც ამკვიდრებს ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ჩინელი ხალხის ხანგრძლივი გმირული ბრძოლის ნაყოფს, თვალსაჩინო მოვლენაა ჩინელი ხალხის ცხოვრებაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მთელი საბჭოთა ხალხის სახელით ღრმა პატივისცემას უცხადებს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრებას და მისი სახით — მოძმე ჩინელ ხალხს და წარმატებებს უსურვებს ჩინეთის სახალხო სახელმწიფოს დიდებისა და აყვავებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა ურღვევ მეგობრობას.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი.

მოსკოვი, კრემლი, 1954 წლის 17 სექტემბერი.

ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების 50 წლისთავის გამო

მოსკოვის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, აღნიშნავენ შესანიშნავი საბჭოთა მწერლის ნ. ა. ოსტროვსკის დაბადების ორმოცდაათი წლისთავს, რომელიც 29 სექტემბერს სრულდება.

ოსტროვსკის ნაწარმოებებს სიყვარულით კითხულობს მილიონობით საბჭოთა ადამიანი. წიგნის საკავშირო პალატის მონაცემებით სსრ კავშირში გამოვიდა რომანის „როგორ იწრთობოდა ფოლადი“ 200-ზე მეტი გამოცემა. ეს წიგნი თარგმნილია 48 ენაზე და გამოშვებულია ხუთ მილიონამდე ცალი საერთო ტირაჟით. არსებობს რომანის „ქარიშხლით შობილნი“ 100-ზე მეტი საბჭოთა გამოცემა. მისი ტირაჟი აღემატება 3.500 ათას ცალს 38 ენაზე.

ნ. ა. ოსტროვსკის ნაწარმოებები ფართოდ არის ცნობილი საზღვარგარეთ. ისინი გამოცემულია ალბანეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ჩინეთში, არგენტინაში, სპბერძნეთში, იტალიაში, საფრანგეთში, იაპონიასა და სხვა ქვეყნებში.

სსრ კავშირის ვ. ი. ლენინის სახელობის სახელმწიფო ბიბლიოთეკამ გამოსცა ბიბლიოგრაფიული საძიებელი „ნიკოლოზ ოსტროვსკი“. ამ საძიებელში მოცემულია მწერლის ცხოვრებისა და შემოქმედების ძირითადი თარიღები, მის ნაწარმოებთა მოკლე მიმოხილვა, ოსტროვსკის შესახებ ლიტერატურის სია და სხვ. (საკდესი).

მოსკოვის ვიოლინოები

ათასობით საბჭოთა მუსიკოსი ქებით იხსენიებს მოსკოვის ვიოლინოთა შემქმნელებს — ქამანიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის მუშაკებს. ეს ვიოლინოები ჟღერენ ჩვენი ქვეყნის საკონცერტო დარბაზებში და თეატრებში, კულტურის სასახლეებსა და საწარმოთა კლუბებში, ამ ვიოლინოებს უკრავენ პროფესორები და სტუდენტები, მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეები. წელს ფაბრიკამ 11 ათასი ვიოლინო გამოუშვა.

ბევრი რამ გააკეთა საუკეთესო საბჭოთა ვიოლინოს შესაქმნელად ქამანიანი ინსტრუმენტების უხუცესმა ოსტატმა ტ. პოდგორნიმ. ახლა იგი 80-ზე მეტი წლისაა. ის არის ფაბრიკის საექსპერტო საბჭოს წევრი, კონსულტაციას უწევს ახალგაზრდა ოსტატებს. საწარმოში მუშაობის მანძილზე მან ათასზე მეტი ვიოლინო შექმნა.

ფაბრიკაში აგრეთვე ამზადებენ ვიოლინჩელებს, ალტებსა და კონტრაბასებს, რომლებსაც ფართოდ იცნობენ მუსიკოსები. (საკდესი).

საბავშვო წიგნის სახლი

სიჩუმეა მოსკოვის საბავშვო წიგნის სახლის სამკითხველო დარბაზის ვრცელ და ნათელ დარბაზებში. ათობით თავი დახრილა წიგნებზე. იმვიათად ისმის გადაფურცლული გვერდების შრიალი.

ათასხუთასამდე ბავშვია ამ სახლის ბიბლიოთეკის მკითხველი. აქ შეიძლება მიიღო ყოველგვარი ლიტერატურა — კლასიკოსთა ნაწარმოებები, მეცნიერულ-ფანტასტიკური რომანები, სახელმძღვანელოები მეცნიერებისა და ტექნიკის სხვადასხვა საკითხზე.

საბავშვო წიგნის სახლი მარტო ბიბლიოთეკა როდია. ეს არის თავისებური სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება, სადაც სწავლობენ ბავშვთა მოთხოვნებს წიგნისადმი, მათს გემოვნებასა და ინტერესებს.

წელს მოსწავლეებისათვის დასახულია ბევრი საინტერესო ღონისძიება — მწერლებთან შეხვედრები, ახალი წიგნების განხილვა, მკითხველთა კონფერენციები. ახლა გახსნილია საბავშვო წიგნის დიდი გამოფენა. ამ დღეებში მოეწყობა ნ. ოსტროვსკისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო. (საკდესი).

გაერთიანებული ლექტორიუმები მტს-ებთან

ლვოვის ოლქის ყველა მანქანა-ტრაქტორთა სადგურთან შეიქმნა გაერთიანებული ლექტორიუმები. პროპაგანდისტულ მუშაობაში ჩაბმული არიან მტს-ებისა და კოლმეურნეობების ინჟინრები, აგრონომები, ზოოტექნიკოსები, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოების ნოვატორები.

კრასნოეს მტს-ის ლექტორიუმი 45 კაცს აერთიანებს. თვითეულმა მათგანმა ამა წლის დამდეგიდან მოამზადა ორი-სამი ლექცია, რომლებსაც კითხულობენ მტს-ის მომსახურების ზონის 15 კოლმეურნეობაში.

აქ ფართოდ უწევენ პროპაგანდას სოფლის მეურნეობის მოწინავეთა გამოცდილებას. მტს-ის ინჟინერს ვ. ალექსეენკოს არაერთგზის უბაასნია მექანიზატორებთან თავისი თანასოფელელის — სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილის ტრაქტორისტ მ. კუნიცკის მუშაობაზე. მ. კუნიცკიმ სეზონში ხუთი წლიური ნორმა შეასრულა. ახლა წარჩინებულ ტრაქტორისტს ზევრი მომდევარი ჰყავს.

მტს-ის ლექტორიუმი დიდ ყურადღებას აქცევს მეცნიერულ-ათეისტურ პროპაგანდას. ლექციას „სიცოცხლის წარმოშობა“ ჩვეულებრივად თან ახლავს სამეცნიერო-პოპულარული ფილმი.

სასოფლო-სამეურნეო ცოდნის პროპაგანდის კარგი გამოცდილება აქვთ აგრეთვე გლინიანის, იავოროვის, რადეხოვისა და სხვა მტს-ების გაერთიანებულ ლექტორიუმებს. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

დაზავების შესახებ შეთანხმების მეათე წლისთავთან დაკავშირებით და საბჭოთა კავშირისა და ფინეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მშვიდობის განმტკიცებისათვის, ფინეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ ი. კ. პაასიკივის თვალსაჩინო წვლილის აღსანიშნავად იუხო კუსტი პაასიკივი დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე კ. ვოროშილოვი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. პეგოვი.

მოსკოვი, კრემლი. 1954 წლის 16 სექტემბერი.

საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩავაბაროთ საშემოდგომო თესვა

★

თესვა დაიწყო

თელავი. (საკ. კორ.). რაიონში საშემოდგომო თესვა პირველმა სოფელ გულგულის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ დაიწყო. მან ორ დღეში 40 ჰექტარი დათესა.

თელავის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მეათე ბრიგადა, რომელსაც თ. კაჭკაჭიშვილი ხელმძღვანელობს, ყოველმხრივ მომზადებული შეხვდა თესვას. ტრაქტორისტი დ. ნონიაშვილი თესვის დღიურ დავალებას 20-30 პროცენტის გადამეტებით ასრულებს.

პირველი ჰექტარები

ყვარელი. (საკ. კორ.). ყვარლის მანქანა-ტრაქტორთა სადგურს საშემოდგომოდ მოსახნავი შვიდას ჰექტარზე მეტი ალარ დარჩა. ი. ლოლიაშვილისა და პ. მოდებაძის სატრაქტორო ბრიგადებმა საშემოდგომო ხვნის გეგმა გადამეტებით შეასრულეს.

მექანიზატორებმა საშემოდგომო თესვა დაიწყეს სოფელ გავაზის ვორონცოვის სახელობის კოლმეურნეობაში. გ. ბუთიაშვილმა ჯვარედინად პირველი 30 ჰექტარი დათესა. ამ წესით გავაზელები 800 ჰექტარს დათესავენ.

თესვა დაიწყო აგრეთვე ყვარლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ.

მოწინავენი

საჩხერე. (საკ. კორ.). გაჩაღდა საშემოდგომო თესვა. დათესილია 400 ჰექტარზე მეტი ხორბალი. საშემოდგომო თესვა წარმატებით მიმდინარეობს სოფელ ნიგვზარის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. წინ მიდიან ს. მაჭარაშვილისა და გ. ციცვიძის ბრიგადები.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული არიან მტს-ის პირველი და მეორე ბრიგადები, რომლებსაც ალ. ცუხიშვილი და შ. შუკაკიძე ხელმძღვანელობენ. დაწინაურდა მეორე ბრიგადა. ტრაქტორისტები პ. ჭოლაძე, გ. ცუხიშვილი, ივ. აბყანდაძე, გ. დეკანოიძე, ზ. გრძელიშვილი ხვნა-თესვის გეგმებს გადაჭარბებით ასრულებენ.

გოლნისელ მექანიზატორთა სიტყვა და საქმე

გოლნისი. („კომუნისტის“ კორ.). საშემოდგომო ხვნაზე დაწინაურდა სატრაქტორო ბრიგადა, რომელსაც ქ. ფაშაევი ხელმძღვანელობს. იგი მუშაობს დაბა ბოლნისის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში.

ბრიგადას საშემოდგომოდ უნდა მოეხნა 200 ჰექტარი, უკვე მოხნული აქვს 500 ჰექტარი. საშემოდგომო ხვნაზე კარგად იმუშავეს და ვალდებულებანი გადაჭარბებით გაანაღდეს ტრაქტორისტებმა გ. დონხაძემ, რომელსაც მოხნული აქვს 259 ჰექტარი და ფ. დევნოზაშვილმა. მას მოხნული აქვს 100 ჰექტარი.



საშემოდგომო ხორბლის ჯვარედინად თესვა ქარელის რაიონის ახალსოფლის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ფოტო შ. გოჩაძისა.

◁ ★ ▷

ზრუნვა მომავალი მოსავლისათვის

თეთრი წყაროს რაიონის კოლმეურნეობებში ხვნა დასასრულს უახლოვდება. მასობრივად დაიწყო თესვა. კარგად მოემზადნენ მანგლისის მტს-ის მექანიზატორები და მისი ზონის მთელი რიგი კოლმეურნეობები. ამ ზონის კოლმეურნეობებს საშემოდგომოდ 1.600 ჰექტარი უნდა მოეხნათ, საანეულოდ — 1.100 ჰექტარი. ფაქტიურად სულ მოხნეს 2.845 ჰექტარი.

განსაკუთრებით დაწინაურდა სოფელ ორბეთის კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ტრაქტორზე მომუშავე ტრაქტორისტი მ. ტატუაშვილი, რომელმაც საშემოდგომოდ 389 ჰექტარი მოხნა და თესვას შვუდგა. უკვე დათესა 150 ჰექტარი ხორბალი. მ. ტატუაშვილს არ ჩამორჩება ტრაქტორისტი რუბენ ლოლიშვილი, რომელმაც პატარა თონეთის კოლმეურნეობაში „დტ-54“ მარკის ტრაქტორით 350 ჰექტარი მოხნა და ახლა ყოველდღიურად 15-20 ჰექტარს თესავს.

მანგლისის მტს-ის ზონის კოლმეურნეობები ჯიშიანი სათესლე ხორბლის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ, მაგრამ მიღებულ ლონისძიებათა შედეგად ეს ნაკლიც გამოსწორებულია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინა წლებში მანგლისელები შემცირებული ნორმით თესავდნენ ხორბალს. ამის გამო დაბალ მოსავალს იღებდნენ. ახლა თვითეულ ჰექტარზე თესენ 180-200 კილოგრამ ხორბალს. გადაწყვეტილი აქვთ საშემოდგომო თესვა 1 ოქტომბრამდე დაამთავრონ. უკვე დათესილია 1.100 ჰექტარზე მეტი.

ხვნა-თესვის ტემპი სულ უფრო ძლიერდება თეთრი წყაროს მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში. პირველი სატრაქტორო ბრიგადის მექანიზატორებმა, რომლებსაც უნარიანად ხელმძღვანელობს გ. ფეოდოროვი, დურნუკის შაუმიანის სახელობის კოლმეურნეობაში გეგმით ნავარაუდევი 590 ჰექტარის ნაცვლად უკვე მოხნეს 700 ჰექტარი, ხოლო მზრალად 160 ჰექტარი. ამ ბრიგადის ტრაქტორისტი ვ. ოგანოვი, რომელიც „დტ- 54“ მარკის ტრაქტორზე მუშაობს, ყოველდღიურ დავალებას 150-200 პროცენტით ანაღდებს. მან საშემოდგომოდ მოხნა 415 ჰექტარი და თესვას შეუდგა, ამასთან 1.696 კილოგრამი საწვავი დაზოგა. მთლიანად ბრიგადას დაზოგილი აქვს 5.168 კილოგრამი საწვავი.

ნაყოფიერად მუშაობენ ამავე მტს-ის მეხუთე სატრაქტორო ბრიგადის წევრებიც, გეგმით გათვალისწინებული 550 ჰექტარის ნაცვლად 600 ჰექტარი მოხნეს. ტრაქტორისტმა შ. ასკალოვმა დაღეთ-ხაჩინის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში დიდი გადაჭარბებით შეასრულა საშემოდგომო ხვნის გეგმა და 150 ჰექტარი დათესა.

მაღალ მაჩვენებლებს აღწევენ ასურეთის მტს-ის მოწინავე მექანიზატორები და კოლმეურნეობები. აქ გეგმით გათვალისწინებული 4.400 ჰექტარიდან უკვე მოხნულია 4.300 ჰექტარი. ხვნაში დაწინაურდა შ. ავგაროზაშვილის პირველი სატრაქტორო ბრიგადა. რომელმაც ხორბლოს კოლმეურნეობაში 550 ჰექტარის ნაცვლად მოხნა 575 ჰექტარი, ხოლო ვაშლოვანის კოლმეურნეობაში შ. აღდგომელაშვილის მესამე სატრაქტორო ბრიგადამ 420 ჰექტარის ნაცვლად 470 ჰექტარი მოხნა. საშემოდგომო ხვნის გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული ასურეთისა და ენაგეთის კოლმეურნეობებში. ნაყოფიერად მუშაობენ კოდის კოლმეურნეობაში ტრაქტორისტები მ. მატინოვი და ო. ავგაროზაშვილი, თვითეულმა მათგანმა საშემოდგომოდ მოხნა 500-520 ჰექტარი და დაზოგა 500-770 კილოგრამი საწვავი.

ნ. ნასარიძე.

სსრ კავშირის ორდენებისა და მედლების გადაცემა

ბათუმი. (საკ. კორ.). ამ დღეებში კავშირგაბმულობის აჭარის საოლქო კანტორის კლუბში სსრ კავშირის ორდენები და მედლები გადაეცა კავშირგაბმულობის მუშაკთა დიდ ჯგუფს, რომლებიც დაჯილდოებული არიან ნამსახურობისა და უმწიკვლო მუშაობისათვის.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებულთ ორდენები და მედლები გადასცა აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ამხ. ა. ბერიძემ.

ლენინის ორდენი გადაეცა 10 კაცს, მათ შორის ფოსტის უფროს აგენტს ბ. ვაშაკიძეს, ფოსტის გადაზიდვის განყოფილების უფროსს ვ. გოგავას, საფოსტო ვაგონის უფროსის თანაშემწეს ვ. ჟუპრანერს, კონტროლიორს ბ. მუშკუდიანს, განყოფილების უფროსს ს. ცენტერაძეს, უფროს ტელეფონისტს რ. სტუპინას და სხვებს.

შრომის წითელი დროშის ორდენი მიიღო 5 კაცმა, მათ შორის განყოფილების უფროსმა ი. სტურუამ, ინსტრუქტორმა ი. გაბუნიამ, კავშირგაბმულობის ორხამურის განყოფილების უფროსმა ვ. ჩხარტიშვილმა.

„საპატიო ნიშნის“ ორდენი გადაეცა 10 კაცს, მათ შორის დეპეშების დამტარებელს ე. ბოლქვაძეს, ზედამხედველს ყ. დავითაძეს, ქედის რაიონული კანტორის უფროსის მოადგილეს ლ. ჩხაიძეს, უფროს ტელეგრაფისტს ო. მილევსკაიას, დამტარებელ ი. რუსეიშვილს, ინჟინერ ს. შუსტერს.

მედალი „შრომითი მამაცობისათვის“ მიიღო 14 კაცმა, ხოლო მედალი „შრომითი წარჩინებისათვის“—21 კაცმა.

დაჯილდოებულთა სახელით სიტყვები წარმოთქვეს ბ. მუშკუდიანმა, პ. გაბიძაშვილმა, ა. ზოთერაშვილმა, ვ. იტრიევმა, ი. სტურუამ და სხვებმა, რომლებმაც მადლობა გადაუხადეს პარტიასა და მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის და თავის მხრივ პირობა დადეს, რომ მომავალში კიდევ უფრო ენერგიულად იშრომებენ საყვარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

დასასრულ ამხ. ა. ბერიძემ მიულოცა მათ მაღალი ჯილდოების მიღება და უსურვა ახალი წარმატებანი მუშაობაში.

უმჯობესდება კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობები

ასპინძის რაიონში კოლმეურნეთა საყოფაცხოვრებო პირობები სისტემატიურად უმჯობესდება. სოფლები სახეს იცვლის. კოლმეურნენი ახალ საცხოვრებელ სახლებს იშენებენ. მარტო წელს 45 კოლმეურნემ აიშენა კეთილმოწყობილი საცხოვრებელი ბინა, ხოლო მშენებლობის პროცესშია 117 სახლი. დამალელმა კოლმეურნეებმა 9 ახალი საცხოვრებელი სახლი აიშენეს, ხოლო 17 კოლმეურნე ამჟამად იშენებს ბინას.

საკუთარი სახლების მშენებლობისათვის კოლმეურნეები სახელმწიფოსაგან სესხად დიდ თანხებს იღებენ. წელს საცხოვრებელი სახლების ასაშენებლად კოლმეურნეებმა უკვე მიიღეს 770 ათასი მანეთი გრძელვადიანი კრედიტი. ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის კოლმეურნეები სახელმწიფოსაგან იღებენ აგრეთვე ხე-ტყეს, შიფერს, ცემენტს, კირს და სხვა საშენ მასალას. კოლმეურნეობათა გამგეობები ეხმარებიან კოლმეურნეებს საშენი მასალის გადაზიდვაში.

მჯიდროდ დავიცვათ საზოგადოებრივი წესრიგი

ცხინვალი. (საკ. კორ.). ამ დღეებში აქ გაიმართა მოსახლეობის აქტივის თათბირი, მიძღვნილი საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საკითხისადმი. მოხსენება გააკეთა მილიციის რაიონული განყოფილების უფროსმა შ. კუხიანიძემ.

როგორც მომხსენებელმა და მოკამათეებმა აღნიშნეს, ამ ბოლო დროს რაიონში მკვეთრად შემცირდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის შემთხვევები, სისხლის სამართლის დანაშაულობანი. მაგრამ მათი სრული ლიკვიდაცია ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. მაინც არის ქურდობის, ხულიგნობის, სახალხო საკუთრების დატაცების, სპეკულაციისა და სხვა სახის დანაშაულობათა შემთხვევები, რაც მილიციის ორგანოების სუსტი მუშაობით აიხსნება. ამას თუნდაც ის ფაქტი ადასტურებს, რომ წელს ჩადენილ დანაშაულობათაგან 9 საქმე დღემდე გაუხსნელია. ჯერ კიდევ გამოუვლინებელი არიან სოფლების — ლეძაძამის, კოტიანეთის, საქვაბრობის № 1 და სხვა მაღაზიების გამძარცველები, რომლებმაც ათეულ ათასობით მანეთის საზოგადოებრივი ქონება გაიტაცეს და მიიმალნენ.

თათბირზე აღინიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში გაიზარდა უსაქმოდ მოხეტიალე ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც თვრებიან, ხულიგნობენ, გამვლელ-გამომვლელთ შეურაცხყოფას აყენებენ, ზოგიერთი მათგანი ქურდობის, მძარცველობისა და სერიოზულ დანაშაულობათა გზას დაადგა. ქ. ცხინვალის რუსული სკოლის მოსწავლეებმა მ. ხუხიამ და ა. მარტიროსიანმა ამას წინათ ქვებით ჩალეწეს ქალაქის ბიბლიოთეკის ფანჯრის მინები. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის მოსწავლეებმა ა. სახოკიამ, გ. მირცხულავამ და გ. თოლორდავამ ჯერ წვრილმანი ქურდობა ჩაიდინეს. შემდეგ მოქალაქე თ. ჩემინავას სახლი გაძარცვეს და დიდძალი სოფლახო ნივთები გაიტაცეს.

ჯერ კიდევ მთლიანად აღმოფხვრილი არ არის ისეთი დანაშაული, როგორიც არის სპეკულაცია. საკოლმეურნეო ბაზრებსა და სხვა ადგილებში სისტემატიურად დაკავებენ ხელოვნურად, ორმაგებსაც ცხოვრების იოლ საშუალებად ეს ბინძური ხელობა აურჩევიათ, ისინი სახელმწიფო ფასებში შეძენილ საქონელს ორმაგ და მეტ ფასად ყიდიან. ესეც სპეკულაციის წინააღმდეგ მილიციის ორგანოების სუსტი ბრძოლით აიხსნება.

განსაკუთრებით სუსტია მილიციის როლი ავტოტრანსპორტის სწორი ექსპლოატაციისა და მოძრაობის წესების მტკიცედ დაცვის საქმეში. მთელი რიგი საწარმო-დაწესებულებების, კოლმეურნეობების ავტომანქანები ტექნიკურად გაუმართავია, მაგრამ მათ მაინც იყენებენ, რასაც თან სდევს ავარიები, მსხვერპლი. ავარიებს იწვევს აგრეთვე მთვრალი მძღოლების მიერ მანქანების მართვა. წელს რეგისტრირებულია ავტომანქანების მიერ მოძრაობის წესების დარღვევის 400-ზე მეტი შემთხვევა. ბოლო დროს გახშირდა პირად სარგებლობაში მყოფი მსუბუქი ავტომანქანების ფულის მოგების მიზნით გამოყენების შემთხვევები. პირადი სარგებლობის მანქანები შემოსავლის წყაროდ გადაქციეს კ. ჯაიანმა, შ. ჩხეტიამ, ი. შოსტიმ, ო. კალანდარიშვილმა, ს. შამელაშვილმა, შ. მიხელაშვილმა და სხვებმა. ეს პირები არავითარ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას არ ეწევიან. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ თვითეულმა მათგანმა ამ მოკლე ხანში 2-3 ავტომანქანა გამოიცვალა. ყველაფერი ეს ხდება მილიციისა და ავტოინსპექციის თვალწინ, მაგრამ ისინი რატომღაც თავს არიდებენ მოხალტურეთა მიმართ ზომების მიღებას, შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას იჩენენ ამ დანაშაულებრივი ფაქტების გამოვლენებისა და აღმოფხვრის საქმეში. ზოგჯერ დამნაშავე პირების მიმართ სასამართლო-პროკურატურის ორგანოებს ლმობიერი განაჩენი გამოაქვთ.

თათბირმა განხილულ საკითხზე დასახა სათანადო ღონისძიებანი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ძველებურად, მომხმარებელთა საჭიროების გაუთვალისწინებლად“

საქართველოს კომპარტიის დუშეთის რაიონული კომიტეტმა დადასტურებულად ცნო ფაქტები, რომლებიც მოყვანილი იყო წერილში „ძველებურად, მომხმარებელთა საჭიროების გაუთვალისწინებლად“ („კომუნისტი“ 26-III). პარტიის დუშეთის რაიკომის ბიურომ, რომელმაც გაზეთში გამოქვეყნებული წერილი განიხილა, დასახა ღონისძიება რაიონის სავაჭრო ქსელის მუშაობის გასაჯანსაღებლად. ბიურომ ქ. დუშეთის კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. ა. დიდებაშვილი არადამაყოფილებელი მუშაობისათვის მოხსნა სამუშაოდან, ხოლო რაიკავშირის გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. გ. ბაბაშვილს დაადო პარტიული სასჯელი.

გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

გაზეთის მკითხველ ა. ბითაძის წერილზე გორის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ზ. თავზარაშვილი გვატყობინებს შემდეგს: დოკუმენტალურმა რევიზიამ გამოავლინა სოფელ ქვემო ხვითის კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ედიშერაშვილის და ყოფილი ბუხჰალტრის გვიშიანის მიერ საკოლმეურნეო ქონების მითვისების ფაქტები. პარტიის გორის რაიკომის ბიურომ ედიშერაშვილი გარიცხა პარტიის რიგებიდან. მასალები ედიშერაშვილისა და გვიშიანის შესახებ გადაეცა პროკურატურას.

წალკის რაიონი უნდა გადაიქცეს მეკარტოფილეობის განვითარების ბაზად

მეკარტოფილეობას წალკის რაიონის კოლმეურნეობათა ეკონომიკაში საპატიო ადგილი უკავია. გასული წლების მაგალითები გვიჩვენებს, რომ მოწინავე კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალში გაცილებით დიდია მეკარტოფილეობის ხვედრითი წონა სხვა დარგებთან შედარებით. კოლმეურნეობები სახელმწიფოს ყოველწლიურად აძლევენ ათასობით ტონა კარტოფილს, ამასთან შრომადღეებზეც უხვად ანაწილებენ. წალკის რაიონი პირველია რესპუბლიკაში არა მარტო კარტოფილის ნათესი ფართობის მხრივ, არამედ საერთო-სასაქონლო პროდუქციის მხრივაც.

ნიადაგისა და ჰავის ადგილობრივი პირობები მეკარტოფილეობის მძლავრი განვითარების საშუალებას იძლევა. კარგი დამუშავების პირობებში, როცა ფართოდ განხორციელებულია მექანიზაცია, უნაკლოდ სრულდება აგროწესები, მიწა მდიდრდება ორგანული და მინერალური სასუქებით, ასეთი ნიადაგები საუკეთესოა კარტოფილის ზრდა-განვითარებისა და მოსავლიანობის გადიდებისათვის. ამასთან ჰავაც — დღისით სითბო, ღამით სიგრილე — ზედმიწევნით ხელსაყრელია მეკარტოფილეობის განვითარებისათვის.

კარტოფილის მოყვანას რაიონში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილების გამოქვეყნების შემდეგ. საკმარისია აღინიშნოს, რომ მარტო წელს კარტოფილის ნათესი ფართობი ათასამდე ჰექტარით გაიზარდა. უკანასკნელი თხუთმეტი წლის განმავლობაში მიღწეულია სერიოზული წინსვლა როგორც ნათესი ფართობის გადიდების, ისე მოსავლიანობის ამაღლების მხრივ. მიუხედავად ამისა, ჯერ კიდევ ნაკლებად სრულდება მოთხოვნა სამრეწველო ცენტრების კარტოფილით უზრუნველყოფის შესახებ. ეს, კერძოდ, ითქმის რესპუბლიკის დედაქალაქის — თბილისის მომარაგებაზეც.

ამის მიზეზია უმთავრესად დაბალი მოსავლიანობა. მხედველობაში რომ არ მივიღოთ 1949 წელი, როცა რაიონში საშუალოდ ჰექტარზე 147,4 ცენტნერი კარტოფილი მიიღეს, მთელ რიგ კოლმეურნეობებში წლიდან წლამდე არ სრულდება კარტოფილის მოსავლიანობის დაწესებული გეგმა. ამ მხრივ ყველაზე დაბალსათვლელია 1952 წელი, როცა კოლმეურნეობათა დიდმა ნაწილმა სათესლე კარტოფილიც კი ვერ აიღო, რაიონის საშუალო მოსავალი კი ჰექტარზე მხოლოდ 14 ცენტნერს შეადგენდა.

— ამ წელს გვალვამ დააზარალა ნათესები, — განმარტავენ რაიონში.

მცირე მოსავლის მიღების მხოლოდ გვალვით გამართლება უხეირო თავისმართლებაა. მოწინავე კოლმეურნეობათა გამოცდილება მოწმობს, რომ არაჩვეულებრივი ამინდების პირობებშიც კი შესაძლებელია წარმატების მოპოვება. ამის საილუსტრაციოდ საკმარისია დავასახელოთ სოფელ კუშჩის მიჭიანის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. 1949 წელს ამ კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 241,6 ცენტნერი კარტოფილი, ე. ი. 100 ცენტნერით მეტი, ვიდრე რაიონის კოლმეურნეობებმა მიიღეს. მაღალი მოსავლით თავი ისახელა სოციალისტური შრომის გმირის ს. ავეტიანის რგოლმა, რომელმაც მოსავლელად მიჩენილი 6 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 310 ცენტნერი კარტოფილი მოიყვანა, ხოლო მაღალმოსავლიანი 3 ჰექტარის თვითეულ ჰექტარზე 530 ცენტნერი.

ავიღოთ სხვა მაგალითი. კუშჩის კოლმეურნეობის ხ. მარტიროსიანის ბრიგადამ 1952 წელს ჰექტარზე 130 ცენტნერზე მეტი კარტოფილი მიიღო, ე. ი. დაახლოებით ათჯერ მეტი რაიონის საშუალო მოსავალზე. შარშან წალკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში თ. გურჯიევის ბრიგადამ საშუალოდ ჰექტარზე უზრუნველყო 140 ცენტნერი კარტოფილის მიღება, ა. ასლანოვის ბრიგადამ — 138 ცენტნერისა, მაშინ როცა კოლმეურნეობის საერთო მოსავალი ჰექტარზე 77 ცენტნერს არ აღემატებოდა.

ეს მაგალითები ნათლად მოწმობენ, რომ რაიონში კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების მდიდარი რეზერვებია. ამ დარგში წარუმატებლობა აიხსნება მხოლოდ დაბალი აგროტექნიკით. სადაც გაბედულად ნერგავენ მოწინავე გამოცდილებას, მეცნიერების მიღწევებს, აფგრთოებენ შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციის დონეს, იქ სათანადო წარმატებასაც აღწევენ. რაიონის კოლმეურნეობებში წელს ამ მხრივ მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა, მეკარტოფილეებს შედარებით უკეთეს პირობებში მოუხდათ მუშაობა. მტს-ებმა მიიღეს სარგავი მანქანები, კარტოფილის ასაღები კომბაინები, მწკრივთა შორის დამუშავებისათვის პირველად გამოიყენეს ცულტივატორები. მოწინავე კოლმეურნეობებმა წარმოებაში დანერგეს კარტოფილის რგვისა და დამუშავების პროგრესული წესი — კვადრატულ-ბუდობრივად რგვა და ნათესის ორმხრივი მიმართულებით მექანიზებული დამუშავება.

წალკის კიროვის სახელობის კოლმეურნეობა ერთ-ერთი პირველია, რომელიც მოწინავე გამოცდილების საფუძველზე მოსავლიანობის ამაღლების საუკეთესო პირობებს ქმნის. წინასწარი ვარაუდით წელს კოლმეურნეობაში მოსალოდნელია ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 150-160 ცენტნერი კარტოფილი, ხოლო თ. გურჯიევის, ნ. პელევანოვის, ს. პოშნაკოვისა და ვ. პურსანოვის ბრიგადებში — 200-250 ცენტნერიც კი. მოსავლიანობის ასამაღლებლად კოლმეურნეობამ მთელი ფართობი მზრალად მოხნა 25-27 სანტიმეტრის სიღრმეზე, საგაზაფხულო გადახვნის წინ თვითეულ ჰექტარზე შეიტანა 20 ტონა გადამწვარი ნაკელისა და 200 კილოგრამი სუპერფოსფატის ნაზავი, ხოლო რგვის წინ 200 კილოგრამი სულფატამონიუმი. რგვა ძირითადად მოეწყო კვადრატულ-ბუდობრივად, რამაც მისი შემდგომი დამუშავება გააადვილა.

აგროტექნიკურ ღონისძიებათა მთელი კომპლექსის განხორციელებით კარტოფილის მოსავლიანობის გადიდების მტკიცე საფუძვლები შეიქმნა ოლიანგის ანდრეევის სახელობის კოლმეურნეობაში, რომელიც ჰექტარზე 200 ცენტნერის, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებში — 300-350 ცენტნერის მიღებას ვარაუდობს.

მაგრამ ფაქტები გვიჩვენებს, რომ კოლმეურნეობების ერთ ნაწილში ნიადაგის, ნათესების დამუშავების ახლანდელი მდგომარეობა სრულიად არ შეეფერება თანამედროვე აგროტექნიკასა და მექანიზაციის მაღალ დონეს. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობები უგულებელყოფენ მოწინავე გამოცდილებას და კვლავ ძველი, დახავსებული მეთოდებით ცდილობენ საერთო წარმატების მოპოვებას.

წინწყაროს მახარაძის სახელობის კოლმეურნეობაში კარტოფილის დასარგავად ნაკვეთები წინასწარ მზრალად არ მოხნეს, ამასთან დაარღვიეს საგაზაფხულო ხვნისა და კარტოფილის რგვის ვადები, დარგეს დაბალხარისხოვანი, არასტანდარტული თესლი. კვადრატულ-ბუდობრივი წესით რგვა მოეწყო მხოლოდ 40 ჰექტარ ფართობზე, ისიც ცუდად. ამიტომ მწკრივთა შორის დამუშავებისას მექანიზმების გამოყენება არ მოხერხდა. უხეშად დაირღვა თოხნის ვადებიც, რის შედეგად ნაკვეთების დიდი ნაწილი დასარევლიანდა. აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად განხორციელებისათვის არც ბეშთაშენის კოლმეურნეობაში შეუწუხებიათ თავი. აქ თოხნა აგვისტომდე გაჭიანურეს, ძირითად ფართობებში ორგანული სასუქები არ შეუტანიათ. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ ეს კოლმეურნეობები იმის ნახევარ მოსავალსაც ვერ მიიღებენ, რასაც მეზობელი კოლმეურნეობები. სამწუხაროდ, ასეთი მაგალითები რაიონში ერთეული როდია.

მეკარტოფილეობაში ახალი, მოწინავე წესების დანერგვა რაიონის კოლმეურნეობებისა და მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისაგან ოპერატიულ ხელმძღვანელობას მოითხოვდა. ამ მხრივ გაწეული მუშაობა ჯერ კიდევ ვერ დგას მოთხოვნილების დონეზე. სხვანაირად არ შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, რომ წელს საერთოდ რაიონში ვერ შესრულდა კვადრატულ-ბუდობრივი რგვის დავალება, ასევე ჩაიშალა მტს-ების მიერ ნათესების მექანიზებული დამუშავება.

რაიონის ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა ორგანოების, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და კოლმეურნეობების წინაშე დგას უაღრესად სერიოზული ამოცანა — წალკის რაიონი მოკლე ვადაში გადააქციონ მეკარტოფილეობის განვითარების მთავარ ბაზად ჩვენს რესპუბლიკაში. საამისოდ მდიდარი რეზერვები არსებობს.

მეკარტოფილეობაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია ნათესი ფართობის გადიდება. რაიონის კოლმეურნეობების განკარგულებაში 24.000 ჰექტარზე მეტი სახნავ-სათესია, აქედან ერთი ნაწილი მარცვლეულს უკავია. ამჟამად მიღებულია ღონისძიება მარცვლეულის ნათესის ნაწილობრივი შემცირების გზით მომავალი წლიდან კარტოფილი, როგორც ყველაზე რენტაბელური კულტურა ამ რაიონში, დაირგოს 5.500 ჰექტარზე, ხოლო უახლოეს წლებში 7.000 ჰექტარზე მაინც, რაც წლევანდელ ნათესზე ერთიორად მეტი იქნება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ყამირი მიწების, ნაჭალობრეხისა და ნატბევრების ათვისებას. მარტო წვრილ-წვრილი, სრულიად გამოუყენებელი ტბების ამოშრობის გზით კოლმეურნეობები რამდენიმე ასეულ ჰექტარს შეიმატებენ. სოფელ ბაშქოის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის ფართობში ასეთ ტბას 150 ჰექტრამდე ფართობი უკავია. სპეციალისტების აზრით, ტბის ამოშრობა კოლმეურნეობას საშუალებას მისცემს მიიღოს საუკეთესო საკარტოფილე ადგილი.

ნათესი ფართობის გადიდებასა და მექანიზმების გამოყენებას ამჟამად რაიონში ყველაზე მეტად უშლის ხელს მინდვრების მცირე სივრცე. ყორეებად დახავებული ქვის ძველი მიჯნებიბევრგან ჯერ კიდევ ამოსაძირკვია, ნაკვეთები გასუფთავებული არ არის ქვის გროვებისაგან. ასეთ პირობებში მექანიზმების მაქსიმალურად გამოყენება შეუძლებელია. კარტოფილის ნათესის დამუშავების სრული მექანიზაცია მოითხოვს უწინარეს ყოვლისა მინდვრების გაწმენდას ქვისაგან როგორც ზედაპირზე, ისე გრუნტშიც. საჭირო იქნება დაისვას საკითხი რაიონში ქვის ამოსაძირკავი, ქვის შესაგროვებელი მექანიზმების, სკრეპერების, გრეიდერების შეტანის შესახებ.

დღემდე კოლმეურნეობები ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ კარტოფილის მორწყვას. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ნარწყავ ნაკვეთებში ერთიორად მეტ კარტოფილს იღებენ. მაგალითად, კუშჩის კოლმეურნეობის ხ. მარტიროსიანის ბრიგადა ნაკვეთებს სისტემატიურად რწყავს. შარშან ამ კოლმეურნეობაში გვალვისაგან ბევრი ნაკვეთი დაზიანდა, ხ. მარტიროსიანის ბრიგადამ კი უხვი მოსავალი მოიყვანა. წელს ნარდევანის კოლმეურნეობაში ნარწყავ ფართობებში ჰექტარზე 150-200 ცენტნერ კარტოფილს მოელიან, ოლიანგისა და კუშჩის კოლმეურნეობებში — 300-მდე ცენტნერს. ამავე კოლმეურნეობების ის ნაკვეთები, რომლებიც არ მორწყა, 100 ცენტნერი კარტოფილის მიღების იმედსაც არ იძლევა.

რაიონში არსებობს საშუალება დიდ კაპიტალურ დაბანდებათა გაუწევლად გამოენდეს არხები და მდინარე ხრამისა და მისი შენაკადების წყლით მოირწყას სულ მცირე 5.000 ჰექტარი კარტოფილის ნარგავი. წელს წყლის თვითდინების წესით 1.000-მდე ჰექტარი მოირწყა, ამასთან ზოგიერთი ნაკვეთი ორჯერ. მომავალში გათვალისწინებულია არხები გაიჭრას 8.000 ჰექტარის მოსარწყავად. ამოცანა უაღრესად სერიოზული და პასუხსაგებია. საჭიროა სისტემატური, შეუნელებელი მუშაობა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმის დადგენილება მიგვითითებს, რომ აუცილებელია მნიშვნელოვნად ამაღლდეს კარტოფილისა და ხოსტნეულის მოსავალი მექანიზაციის ფართოდ გავრცელებისა და მოწინავე აგროწესების გამოყენების საფუძველზე.

წალკის რაიონი საქართველოში მეკარტოფილეობის განვითარების მთავარ ბაზად რომ გადაიქცეს. ამისათვის საჭიროა უდიდესი რეზერვების მთლიანად ამოქმედება და მშრომელთა სამსახურში ჩაყენება. ასეთია საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების გადაუდებელი ამოცანა.

ბ. ოქრუაშვილი,
„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტი.

ჩვენი დედაქალაქის ხვალინდელი დღე

★ ★ ★ ★

სახეს იცვლის, ლამაზდება

ვის არ ახსოვს ძველი ნაძალადევი და ღრმაღელე? პატარა ფიცრული ან ალიზისაგან ნაშენი ქოხმახები „ამშვენებდნენ“ ქალაქის ამ უბანს. ჭრიალა ურემი თუ გაივლიდა ვიწრო, ოღროჩოღრო, ტალახიან ქუჩებში, სადაც წვიმის შემდეგ მთელი კვირაობით იდგა აშმორებული გუბეები. ქოხმახებში შეხიზნული მუშათა ოჯახები მოკლებული იყვნენ წყალსადენს, კანალიზაციას, ელექტროშუქზე კი მაშინ ოცნებაც არ შეეძლოთ, ჭრაქი ან უკეთეს შემთხვევაში ნავთის ლამპა იყო განათების საშუალება.

ნამდვილი სინათლე ამ რაიონში საბჭოთა ხელისუფლებამ შემოიტანა. საოცრად გამოიცვალა მისი სახე უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში. ის, რაც იყო გუშინ, უკვე მოგონებად დარჩა. გაჩნდა ფართო მოასფალტებული მაგისტრალები, რომლებსაც მრავალსართულიანი შენობები ამშვენებს. ათობით აშენდა ახალი ფაბრიკა-ქარხნები. წინათ ჩამორჩენილი უბანი დედაქალაქის მოწინავე სამრეწველო და კეთილმოწყობილ რაიონად იქცა.

ყოველწლიურად კიდევ უფრო კეთილმოწყობილი და ლამაზი ხდება ლენინის რაიონი. ბევრი რამ გაკეთდა წელსაც. მოკირწყლულია რამდენიმე ქუჩა და შესახვევი, კოლექტივიზაციისა და ლოტკის ქუჩებზე მიმდინარეობს სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა, პირველ იანვრამდე სულ მოიკირწყლება 35 ათასი და მოასფალტდება 20 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი. სწრაფი ტემპით წარმოებს ავჭალის გზატკეცილის კეთილმოწყობა და ტრამვაის ხაზის გაგრძელება. ეს მეტად მნიშვნელოვანი მშენებლობა მომავალ წელს დამთავრდება.

დიდი სამუშაოებია გაწეული რაიონის გამწვანებისათვის. წელს დაირგო 4.865 დეკორაციული ხე და ბუჩქი. კიდევ უფრო გალამაზდა გაზონები ნაბეჭდ და ლიკანის ქუჩებზე. ქავთარაძის სახელობის ბაღს და მე-80 საბავშვო ბაღის სკვერს არქიტექტურულად გაფორმებული ლითონის ღობეები გაუკეთდა.

კიდევ უფრო დიდი სამუშაოები უნდა შესრულდეს გამწვანების დარგში მომავალ წელს. ახალი ქუჩების გაყვანასა და კეთილმოწყობასთან ერთად საჭირო გახდება ათასობით მწვანე ნარგავის გაშენება. ცარიელი ადგილების შესავსებად და სანიტარული გაჯანსაღებისათვის მრავალი მცენარე დაირგვება არსებულ ბაღებში, სკვერებში და გაზონებზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ თბილისის ზღვის კეთილმოწყობის გენერალური გეგმის შესაბამისად ჩვენს რაიონს გასამწვანებლად გამოუყვეს ზღვის სანაპირის ის ნაწილი, რომელიც ამ უბნის მოიჯნავეა. ეს მიდამო რამდენიმე წლის შემდეგ რაიონის მშრომელთა დასვენებისა და გართობის საუკეთესო ადგილად გადაიქცევა.

ჩვენი რაიონის ბავშვებმა წელს კიდევ ერთი საჩუქარი მიიღეს. საექსპლოატაციოდ გადაეცა საბავშვო ბაღის ახალი კეთილმოწყობილი შენობა. მომავალ წელს განზრახულია კიდევ ორი სასკოლო შენობისა და ერთი საბავშვო ბაღის აგება, დამთავრდება აბანოს მშენებლობა. ახალი კინო თეატრის შენობა აიგება იქ, სადაც მაგნიტოგორსკისა და საბჭოს ქუჩები კვეთენ ერთმანეთს.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩების კეთილმოსაწყობად ბევრი რამ გაკეთდა, ჯერ კიდევ ბევრია მოუკირწყლავი, ტალახიანი ქუჩა და შესახვევი. მომავალ წელს კიდევ მოიკირწყლება ორმოცი ათასი და მოასფალტდება 25 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი.

განსაკუთრებით სწრაფი ტემპით იზრდება ჩვენი რაიონის ყველაზე ახალი უბანი — ავჭალის გზატკეცილის გაყოლებით და ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის მიდამოებში. აქ ამჟამად შენდება ათობით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელთა დიდი ნაწილი მომავალ წელს დამთავრდება. ამ ტერიტორიაზე განლაგებულ საწარმოთა მუშა-მოსამსახურეები კიდევ ათასობით კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს მიიღებენ. ამ უბანში ფართოდ არის გაჩაღებული ინდივიდუალური სახლთმშენებლობა. ამჟამად აქ მშრომელები სახელმწიფოს დახმარებით ამთავრებენ 600-ზე მეტ კოტეჯის ტიპის საცხოვრებელი სახლის აგებას. უახლოეს ხანებში ამავე უბანში მთლიანად დამთავრდება ახალი დიდი საწარმოს — კონიაკის ქარხნის მშენებლობა, რაც კიდევ უფრო გაზრდის რაიონის ეკონომიურ მნიშვნელობას.

ყველაფრის თქმა, რაც ლენინის რაიონში კეთდება, ერთ პატარა წერილში ძნელია. ერთი რამ კი ცხადია — გაივლის რამდენიმე წელი და ლენინის რაიონი თბილისის ერთ-ერთ ულამაზეს და კეთილმოწყობილ უბნად იქცევა.

ბ. ხმიადაშვილი,
თბილისის საორთქლმავლო დეპოს ზეინკალი, ლენინის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს დეპუტატი.

ციფრები და ფაქტები

⊙ 1921 წელს თბილისში იყო რამდენიმე სკოლა, 3 საავადმყოფო, 1 საბავშვო დაწესებულება. ამჟამად აქ არის 150 სკოლა, 15 საავადმყოფო, 90-ზე მეტი საბავშვო ბაღი და სხვ. სასკოლო მშენებლობაზე წელს გამოყოფილია 5.422 ათასი მანეთი, ხოლო ჯანმრთელობის დაცვის ობიექტების მშენებლობაზე 4.300 ათასი მანეთი.

⊙ წელს თბილისის საბინაო ფონდის გაფართოებისა და აღდგენისათვის და მოსახლეობის კომუნალური მომსახურების გაუმჯობესებისათვის 109.245 ათასი მანეთი დაიხარჯება.

⊙ უახლოეს ხანებში მარცხენა სანაპირო ქუჩაზე დაიწყება თბილისში ყველაზე დიდი — 220 ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

⊙ მალე თბილისს შეემატება 2 ახალი მოედანი — ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების კუთხეში და საბურთალოს საკოლმეურნეო ბაზრის წინ.

იზრდება და მშვენიერდება ჩვენი დედაქალაქი. ახალ ფართობებს იპყრობენ ლამაზი ნაგებობანი, ცისკენ მიისწრაფვიან მრავალსართულიანი შენობები.

შენდება, ირთვება მშობლიური თბილისი, ჩვენი სიამაყე, საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი.

უკანასკნელ წლებში ბევრი ახალი ფაბრიკა-ქარხანა ჩადგა მოქმედ საწარმოთა რიგში, მრავალი კიდევ შენდება და ფართოვდება.

გაიხსნა ახალი ქუჩები, გაშენდა ფართო მოედნები, აიგო მაღალი სახლები, გაიდო დიდი ხიდები. თვალს ახარებს ხარაჩოების სიმრავლე.

მწვანე სამოსით არის მორთული დედაქალაქი, მალე მახათას მთას და თბილისის ზღვის მიდამოს ლაშქარივით შეესევა ნაძვებისა და ფიჭვების მასივი.

ყოველივე ეს შედეგია კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ზრუნვისა, რომელსაც იჩენენ ისინი საბჭოთა ადამიანის განუხრელად მზარდ მატერიალურ-კულტურულ მოთხოვნილებათა მაქსიმალური დაკმაყოფილებისათვის.

ნათელი რწმენით, ახალი ვრცელი პერსპექტივებით არის აღსავსე თბილისელთა მომავალი, ისე, როგორც თვითეული საბჭოთა მოქალაქის მომავალი.

ამ გვერდში ვბეჭდავთ მასალებს, რომლებშიც მოთხრობილია, თუ როგორი იქნება თბილისის ხვალინდელი დღე.

თბილისის ახალი არქიტექტურული სახე

ა. თევზაძე,
თბილისის მთავარი არქიტექტორი

დიადი კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის დაუცხრომელი მზრუნველობის შედეგად ჩვენი დიდი სამშობლო — საბჭოთა კავშირი წარმოადგენს მსოფლიოში ყველაზე სწრაფმზარდ ქვეყანას როგორც სახალხო მეურნეობის შეუნელებელი განვითარების, ისე ხალხის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის თანდათან გაუმჯობესების მხრივ. ამის შედეგია ჩვენში უმაგალითო მასშტაბით გაჩაღებული სამრეწველო, კომუნალური და საბინაო მშენებლობა. ჩვენს თვალწინ ხდება უდიდესი ცვლილებები.

ეს საერთო აღმავლობა ჩვენს რესპუბლიკაში განსაკუთრებით მკაფიოდ იგრძნობა თბილისის მაგალითით. ყველას ახსოვს, რას წარმოადგენდა თბილისი ამ ორი ათეული წლის წინათ, ყველა ხედავს, რას წარმოადგენს იგი ახლა.

ჩვენი უძველესი ქალაქი მრავალ საუკუნეთა განმავლობაში სტიქიურად, უგეგმოდ შენდებოდა. მტერს არაერთხელ დაუნგრევია იგი, მაგრამ ქართველი ხალხი მას ხელახლა აღადგენდა.

თბილისი საბჭოთა კავშირის იმ დიდ ქალაქთა წყებას ეკუთვნის, რომელთა ზრდის ტემპი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ამასთან დაკავშირებით უპირველესი ამოცანაა არ დავუშვათ სტიქიურობა ქალაქის ზრდაში, არამედ ეს ზრდა დავუმორჩილოთ გეგმას.

სტიქიურობის—ქალაქმშენებლობაში ამ ან განსაკუთრებით მავნე მოვლენის სალიკვიდაციოდ საქალაქო მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში გენერალური გეგმების მიხედვით წარმოებს.

თბილისის ასეთი გენერალური გეგმა შესრულდა, მისი ძირითადი მონაცემები განხორციელდა, ხოლო ამჟამად ქალაქის ძველი უბნების რეკონსტრუქცია და ახალი საცხოვრებელი უბნების გაშენება ხორციელდება დედაქალაქის დაგეგმარების ახლად შემუშავებული გეგმის მიხედვით, რომელიც წარდგენილია დასამტკიცებლად.

თბილისის დაგეგმარების ახალ გენერალურ გეგმაში ასახულია დედაქალაქის ზრდის, მისი მეურნეობის განვითარების საერთო კონტურები, გათვალისწინებულია მისი ხვალინდელი საერთო ხედი, მისი მხატვრულ-არქიტექტურული ფერადოვნება. გენერალური გეგმის ახალ პროექტში გათვალისწინებულია ყველა იმ ნაკლის აღმოფხვრა, რომლებიც წინათ დამახასიათებელი იყო თბილისის ახალი უბნების გაშენებისას. ახალი გეგმის მიხედვით ქალაქის გაშენება უნდა მოხდეს ანსამბლურად და არა ცალკე შენობათა, ცალკე ნაგებობათა აშენებით. ცალკე ნაგებობათა და შენობათა ნებისმიერი გაშენების წინანდელმა პრაქტიკამ ისეთ არასასურველ მდგომარეობამდე მიგვიყვანა, როგორშიც აღმოჩნდა ქალაქის ახლადგაშენებული უბანი ვაკე, სადაც საჭირო ხდება მთელ რიგ სარეკონსტრუქციო სამუშაოთა შესრულება ამ უბნის გაჯანსაღებისა და კეთილმოწყობისათვის.

საბჭოთა ქალაქმშენებლობაში შეძენილი გამოცდილება ცხადყოფს, რომ საჭიროა თბილისის მშენებლობაში უარი ვთქვათ მარტო ქალაქის ტერიტორიული გაფართოების შესაძლებლობაზე. ეკონომიკის თვალსაზრისით ქალაქის ტერიტორიული გაფართოება არსებული ნაწილის რეკონსტრუქციის განუხორციელებლად მიზანშეწონილი არ არის, ეს ნაკლებ წინააღმდეგობათა გზით სვლაა. ჩვენ დედაქალაქს აქვს თავისი დამახასიათებელი კოლორიტი. ორიგინალური სილუეტი და მდებარეობა. მისი შემდგომი ტერიტორიული გაფართოება მაშინ, როცა საქალაქო ტერიტორიის ცენტრალური სივრცეები მაქსიმალურად არ არის ათვისებული და კეთილმოწყობილი, მიზანშეწონილი არ იქნებოდა იმიტომაც, რომ გამოიწვევდა ქალაქის ქუჩების ქსელის და ყველა კომუნიკაციის გაფართოების აუცილებლობას, დიდძალ დამატებით კაპიტალდაბანდებებს. ქალაქის საერთო არქიტექტურული გარეგნობის მხრივ კი ტერიტორიული გაფართოება შექმნიდა კონტრასტულ ზოლებს: ძველი უბნები და ახალი უბნები.

ჩვენი მიზანია საცხოვრებელ უბანთა გასაშენებლად პირველ რიგში გამოვიყენოთ ტერიტორიის ის ფონდი, რომელიც ძველ უბნებს უკავია. ამიტომ უწყებებსა და საშენებლო ორგანიზაციებს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი ხალისით აძლევს ადგილს ძველ უბნებში. ასაღებია ძველისძველი სახლები, რომელთა ადგილზე, ახალი, დიდი და მრავალსართულიანი არქიტექტურული ანსამბლები უნდა გაშენდეს. სამწუხაროდ, ზოგი უწყება და დაწესებულება ნაკლებ ანგარიშს უწევს ქალაქის გაშენების საერთო ინტერესს, ცდილობს დაუსახლებელი მიწის ნაკვეთის მიღებას.

თბილისში ამჟამად ხორციელდება ქალაქის გაშენების გენერალური გეგმის პროექტით გათვალისწინებული პირველი რიგის სამუშაოები. იგი მოიცავს პერიოდს 1960 წლამდე. მეორე რიგის სამუშაოები მოიცავს პერიოდს 1960-დან 1970 წლამდე. პირველ რიგში ქალაქის გაშენებისათვის შერჩეულია შემდეგი ქუჩები და უბნები: ლენინის მოედანი, საბჭოს ქუჩა მთელ თავის სიგრძეზე, ავჭალის გზატკეცილი, სადაც ტრამვაი უკვე გაყვანილია, ბრძოლის ქუჩა, ლენინის ქუჩა, მარცხენა სანაპირო ქუჩა ჩელუსკინელების ხიდიდან სტალინის სახელობის ხიდამდე, მარჯანიშვილის ქუჩა, სამხურთალო, 5 დეკემბრის ქუჩა და ა. შ. ახალი საცხოვრებელი კვარტალების შესაქმნელად ამ მაგისტრალებისა და რაიონების გაშენება იმით არის გამართლებული, რომ ამით გაუმჯობესდება ქალაქის საერთო სახე, გაადვილდება მეტი მოსახლეობისათვის კომუნალური მომსახურების უკეთ გაწევა.

ქალაქის ცენტრალურ მოედანზე — ლენინის მოედანზე უწინარეს ყოვლისა უნდა აღიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დამაარსებლის გენიალური ლენინის მონუმენტური ძეგლი. ძეგლზე, რომელიც არა მარტო ამ მოედნის, არამედ მთელი ქალაქის დამამშვენებელი იქნება, სამშენებლო სამუშაოები დაწყებულია. ძეგლის აღმართვის შემდეგ გათვალისწინებულია მოედნის ირგვლივ შენობათა რეკონსტრუქცია. ამჟამად არსებული მცირესართულიანი სახლები უნდა შეიცვალოს მრავალსართულიანი სახლებით და ყველამ, ვინც ამ მოედანზე მოხვდება, მხატვრული შთაბეჭდილებებით უნდა იგრძნოს, რომ იგი არის საქართველოში, მის დედაქალაქში, ამ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე.

ქალაქის გენერალური გეგმით დიდი ცვლილებებია გათვალისწინებული სხვა ცენტრალურ უბნებშიც, მაგალითად, ბარათაშვილის ხიდსა და მეტეხის ხიდს შუა მტკვრის მარცხენა მხარეზე („რიყე“) დასახლებული კვარტალების აღება და დიდი პარკის გაშენება. გადაწყვეტილია ბარათაშვილისა და კარლ მარქსის ხიდების რეკონსტრუქცია, რაც დიდად დაამშვენებს ქალაქის ხედს.

ახლო მომავალში დაიწყება მუშაობა ახალი სანაპირო ქუჩის გაყოლებით მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების გასაშენებლად ჩელუსკინელთა ხიდიდან სტალინის სახელობის ხიდამდე მტკვრის მარცხენა მხარეს. აქ სანაპირო ქუჩა ორიარუსიანი იქნება და ამ იარუსებს მოხდენილად შეამკობენ მრავალსართულიანი არქიტექტურული ანსამბლები. პირველ ასეთ 106-ბინიან დიდ საცხოვრებელ სახლს აშენებს რკინიგზის უწყება. სანაპირო ქუჩები დაწყებული ტელმანის ქუჩის გაგრძელებიდან ჩელუსკინელების ხიდამდე და შემდეგ ორთაჭალისამდე მომავალში მრავალსართულიანი შენობებით დამშვენდება, გამწვანდება, კეთილმოწყობილი გახდება.

სტალინის სახელობის ხიდით ამჟამად ქალაქის მარცხენა მხარე უმოკლესი მაგისტრალით — მარჯანიშვილის ქუჩითა და ელბაქიძის აღმართით უკავშირდება მარჯვენა მხარეს და მის ერთ-ერთ მთავარ მაგისტრალს — რუსთაველის პროსპექტს, რომელიც გასწორდება ლენინისა და მელიქიშვილის ქუჩების გასაყარამდე. ელბაქიძის აღმართი ამჟამად არ არის ტრანსპორტისათვის მოხერხებული, მომავალში გათვალისწინებულია მისი გასწორება და რუსთაველის პროსპექტზე „ზარია ვოსტოკას“ შენობის წინ გამოყვანა. მეორე ასეთივე სატრანსპორტო მაგისტრალი გაყვანილ იქნება სტალინის ხიდიდან მაღლა კიროვის ბაღისაკენ და შეურთდება ლენინის ქუჩას. ასეთივე უმოკლესი მანძილით დაუკავშირდება საბჭოთა კავშირის გმირთა მოედანი უნივერსიტეტის ქუჩას ვარაზისხევის კეთილმოწყობილი ქუჩით.

დიდი მომავალი ისახება სამხურთალოსათვის. ქალაქის ეს რაიონი მიჩნეულია უმაღლეს სასწავლებელთა და ახალ საცხოვრებელ კვარტალთა კუთხედ. ახლა აქ ფართო მშენებლობა მიმდინარეობს. შედარებით ახლო მომავალში სამხურთალო უმოკლესი მაგისტრალით დაუკავშირდება ვაკეს ის უბნიდან, სადაც იპოდრომი შენდება.

ქალაქის კეთილმოწყობის ღონისძიებებში დიდი ადგილი უკავია გამწვანებას. როგორც თვით ამ რაიონებში, რომლებიც გაშენდება, ისე ქალაქის ირგვლივ მთის კალთებზე.

გარდა ახალი პარკებისა და სკვერებისა, რომელთა გაშენება მიმდინარეობს ან განზრახულია (ვაკე, სანაპირო ქუჩები), გენერალური გეგმა ითვალისწინებს მწვანე ნარგავების განვითარებას არსებულ საცხოვრებელ კვარტალებშიც.

ქალაქის გენერალური გეგმა მრავალი სხვა დიდი სამუშაოს შესრულებასაც ითვალისწინებს. ყველა ეს სამუშაო მოფიქრებულია ისე, რომ თბილისმა შეინარჩუნოს და გაამდიდროს თავისი განსაკუთრებული კოლორიტი, ამასთან იქცეს კიდევ უფრო კეთილმოწყობილ ქალაქად.



ასეთი იქნება თბილისის მარცხენა სანაპიროს ხედი მომავალში სტალინისა და მარქსის სახელობის ხიდებს შორის.

ახალი ძვირფასი ქსოვილები

მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ამაღლებისათვის დაუცხრომლად ზრუნავენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა. ისინი არ იშურებენ სახსრებს ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის გამოშვების გადიდებისათვის. ამის ერთ-ერთი მკაფიო მაგალითია თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი „საბჭოთა საქართველო“.

მალე ჩვენი კომბინატი თავისი არსებობის 25-ე წლისთავს აღნიშნავს. პირველ ხანებში იგი უშვებდა შალის უხეშ და ნახევრადუხეშ ქსოვილებს. მისი საპროექტო სიმძლავრე ითვალისწინებდა წელიწადში 1.200 ათასი მეტრი ქსოვილის გამოშვებას. ამ სიმძლავრეს უკვე გადავამეტეთ 1946 წელს. იმავე წელს დაიწყო ჩვენი საწარმოს გაფართოება და რეკონსტრუქცია, რაც ათეული მილიონი მანეთი ჯდება. იგი უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის ბოლოს. აიგო ახალი საწარმოო კორპუსები, დაიდგა საბჭოთა მარკის უფრო სრულყოფილი მანქანები — ავტომატური საქსოვი, აგრეთვე საორფებელი, გადასახვევი, საგრეხი და სხვა დაზგები.

რეკონსტრუქციის შედეგად ერთიორად და მეტად უნდა გაზრდილიყო საწარმოო სიმძლავრე. ჯერ კიდევ სამუშაოთა საბოლოო დამთავრებამდე, შარშან მივაღწიეთ იმდენი ქსოვილის დამზადებას, რამდენიც რეკონსტრუქციის შემდეგ უნდა მიგვეღო. წლევანდელი დავალება ითვალისწინებს 2.950 ათასი მეტრი შალეულის მოქსოვას.

წელს ჩვენი ფაბრიკა კომბინატად გადაკეთდა, იქცა საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ მსხვილ საფეიქრო საწარმოდ, რომელიც დიდი რაოდენობით აწვდის შალეულს ჩვენს ქვეყანას.

დიდი სამუშაოებია გაწეული ფეიქართა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. 5.168 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობის ნაცვლად, რაც რეკონსტრუქციით იყო გათვალისწინებული, ავაგეთ 5.556 კვადრატული მეტრი ფართობი. იმის გამო, რომ უკანასკნელი წლების მანძილზე ჩვენი კოლექტივი წარმატებით ასრულებს საბელმწიფო დავალებას, გაიზარდა დირექტორის ფონდი. ამ ფონდიდან კიკეთში ავაშენეთ დასაკვენებელი კომბინატი, სადაც ზაფხულობით მიდის ჩვენი საბავშვო ბაღი და ბაგა, მოწყობილია მუშათა ერთდღიანი სანატორიუმი, გამოყოფილია ოთახები და კოტეჯები ოჯახებით დასვენებისათვის. მარტო ამაზე მილიონ-ნახევარი მანეთი დაიხარჯა. ახალი ნარგავებით გამდიდრდა საწარმოს ტერიტორია, გაშენდა ბაღი, აიგო ორანჟერია.

მაგრამ კიდევ უფრო წარმტაცია ჩვენი კომბინატის ხვალინდელი დღე.

გაისად დაიწყება და უახლოეს სამ წელიწადში დამთავრდება კომბინატის წმინდა-კამვოლური ქსოვილების ახალი ფაბრიკის მშენებლობა. მისთვის გამოყოფილია ტერიტორია. ამჟამად მუშავდება როგორც საწარმოო, ისე საბინაო ნაგებობათა პროექტები. ახალი ფაბრიკა აღჭურვილი იქნება უახლესი საბჭოთა მექანიზმებით.

ფაბრიკა გამოუშვებს მაღალი ნომრის ნართს (40-მდე ნომრის ნაცვლად, რომელსაც ახლა კომბინატში ვამზადებთ, გამოვუშვებთ 80-მდე ნომერს), რომლიდანაც მოიქსოვება ქალისა და მამაკაცის საკოსტიუმე და საკაბე ნაზი და მკვრივი ქსოვილები. ამიერკავკასიაში პირველად აქ დამზადდება ტრიკო „უდარნიკი“, „მეტრო“, „მერვისი“, კრეპი „საკაბე“ და მრავალნაირი სხვა ქსოვილები. ეს ფაბრიკა წლიურად ორ მილიონამდე მეტრ ქსოვილს გამოუშვებს.

დიდი თანხები დაბანდდება მუშა-მოსამსახურეთა კეთილდღეობის ასამაღლებლად. მშენებლობისათვის განკუთვნილი სახსრებიდან 30 მილიონამდე მანეთი მოხმარდება საბინაო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მშენებლობას. დამატებით აიგება 10-12 ათასი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები, აშენდება ახალი საბავშვო ბაღი, ბაგა, კლუბი. წყნეთში გამოყოფილია ერთი ჰექტარი მიწის ფართობი ფეიქართა შვილებისათვის ბავშვთა საჩვენებელი სახლის ასაგებად. კომბინატის საფაბრიკო-საქარხნო სკოლისათვის, რომელსაც არსებული შენობა ვერ აკმაყოფილებს, აიგება ახალი სახლი. ახალი შენობა გადაეცემა მუშა ახალგაზრდობის სკოლასაც.

მომავალ წელს ძვირფას საჩუქარს მიიღებს სპორტის მოყვარული ახალგაზრდობა, მოეწყობა ახალი სტადიონი, აშენდება სატანვარჯიშო ქალაქი და სხვ.

ასეთი ფართო პერსპექტივებია გადაშლილი კომბინატის კოლექტივის წინაშე.

ნ. თუშიშვილი,
თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის დირექტორი.

ციფრები და ფაქტები

⊙ ბარათაშვილისა და პუშკინის ქუჩების რეკონსტრუქციის შემდეგ მათი გადაკვეთის ადგილას აიგება თბილისში ყველაზე დიდი უნივერმაღის შენობა.

⊙ უახლოეს 7 წელიწადში საექსპლოატაციოდ გადაეცემა 500 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ე. ი. საშუალოდ ყოველწლიურად 75 ათასი კვადრატული მეტრი.

⊙ წელს გაყვანილ იქნება 8 კილომეტრი ელექტროგანათების, ამდენივე წყალსადენისა და 4 კილომეტრი კანალიზაციის ქსელი.

⊙ ახლო ხანებში მწვანე ნარგავებით დაიფარება თბილისის ზღვის მომიჯნავე 2.000 ჰექტარი ფართობი, გამწვანდება ლისის ტბის სანაპირო და 30 ჰექტარზე გაშენდება პარკი.

⊙ ორთაჭალასის ამუშავების შემდეგ მტკვრის დონის აწევასთან დაკავშირებით და სამდინარო გემების გასატარებლად რეკონსტრუირებულ იქნება კარლ მარქსისა და ბარათაშვილის სახელობის ხიდები.

სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების სესიაზე

პეკინი, 18 სექტემბერი. (საკდესი). მუშაობას განაგრძობს სრულიად ჩინეთის სახალხო წარმომადგენელთა კრების პირველი მოწვევის პირველი სესია. იგი მიმდინარეობს ჩინელი ხალხის უდიდესი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში.

სესიაზე გრძელდება განხილვა ლიუ შაო-ცის მოხსენებისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

გუშინდელ სხდომაზე ლიუ შაო-ცის მოხსენების განხილვაში მონაწილეობა მიიღო 28 კაცმა.

ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება

პრაღა, 17 სექტემბერი. (საკდესი). მარტო მიმდინარე წლის პირველი სამი თვის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიის შემნახველში სალაროებმა 356 ათასი ახალი ანგარიში გახსნეს. შემნახველ სალაროებში მშრომელთა ანაბრების საერთო თანხა წლის პირველ ნახევარში 551 მილიონი კრონით გადიდდა.

დიდი პოპულარობით სარგებლობენ ჩეხოსლოვაკიაში სამრეწველო საწარმოებთან არსებული შემნახველი სალაროები. შარშან ფულის რეფორმის განხორციელებამდე ამ შემნახველი სალაროების მეანაბრე იყო 350 ათასი კაცი. ფულის რეფორმისა და მის შედეგად ფასების შემცირების შემდეგ, რამაც მშრომელებს 10,5 მილიარდი კრონი მოგება მისცა, საფაბრიკო-საქარხნო შემნახველი სალაროების მეანაბრეთა რიცხვმა 600 ათასს მიაღწია.

ამ ბოლო დროს სწრაფად იზრდება აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის გლეხთა ანაბრები.

ჩეხოსლოვაკია შევიდა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციაში

პრაღა, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, ჩეხოსლოვაკიის ელჩმა პარიზში გუსტავ სოუჩეკმა გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის გენერალურ დირექტორს გადასცა ნოტა, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩეხოსლოვაკიამ გადაწყვიტა გაიდეს გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის საკითხთა ორგანიზაციის წევრი.

ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების კავშირი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციაა

სოფია, 17 სექტემბერი. (საკდესი). დღეს ბულგარელი ხალხი აღნიშნავს 20 წლისთავს იმ დღიდან, რაც ბულგარეთში შეიქმნა ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების კავშირის პირველი ორგანიზაცია, რომელმაც დასაწყისი მისცა მასობრივ ორგანიზებულ მოძრაობას საბჭოთა კავშირთან მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის. ფაშიზმის შავბნელ წლებში ბულგარელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის მომხრეებს არალეგალურად უხდებოდათ მუშაობა. ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების კავშირმა საყოველთაო სახალხო გაქანება მიიღო 1944 წელს ფაშიზმისაგან ბულგარეთის განთავისუფლების შემდეგ. უკვე 1946 წელს ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოების კავშირი აერთიანებდა 160 საზოგადოებას 28.000 წევრით. ამჟამად კავშირი აერთიანებს 12 ათას საზოგადოებას 1.600.000 წევრით. იგი ბულგარელი ხალხის მასობრივი ორგანიზაცია გახდა.

ღირსშესანიშნავ თარიღთან დაკავშირებით გაზეთმა „ოტეჩესტვენ ფრონტმა“ დღეს გამოაქვეყნა მოწინავე სტატია სათაურით „ჩვენი მეგობრობის ჩაუქრობელი კერა“, რომელშიც აგვიწერს ბულგარეთ-საბჭოთა საზოგადოებების მოღვაწეობას.

ამერიკელი მილიონერები მუშათა ხელფასს ამცირებენ

ნიუ-იორკი, 17 სექტემბერი. (საკდესი). პრესის ცნობებით, ამერიკის შეერთებული შტატების მრეწველობის ბევრ დარგში მემარჯვენე პროფკავშირების ხელმძღვანელთა მხარდაჭერით ხდება მუშათა ხელფასის მნიშვნელოვანი შემცირება.

ამა წლის დამდეგს ბამბეულის ფაბრიკების მუშათა ხელფასი 5-7 პროცენტით შემცირდა. წლის შუა ხანებში ხელფასის ასეთივე შემცირება მოხდა ახალი ინგლისის შტატების შალის ქსოვილების ფაბრიკებში.

მომდინარე წლის ზაფხულში მაღაროელთა გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარის ლუისის პირდაპირი მონაწილეობით ხელფასის სერიოზული შემცირება მოხდა მთელ რიგ შახტებში.

გაზეთ „ფორდ ფეკსტის“ (ფორდის დეტროიტის ქარხნის პროფკავშირის ორგანო) კორესპონდენტები იუწყებიან, რომ ხელფასის მნიშვნელოვანი შემცირება შეეხო საავტომობილო მრეწველობის ათეულ ათასობით მუშას. მაგალითად, აგვისტოში „სტუდებეკერის“ კომპანიის მუშათა ხელფასი 15-20 პროცენტით შემცირდა.

კენიის საკონცენტრაციო განაკეთში

ლონდონი, 16 სექტემბერი. (საკდესი). ლონდონის რადიომ გადმოგვცა კენიიდან მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც ინტერნირებულია 20 ათასამდე ზანგი, „რომლებზეც ეჭვია მიტანილი, რომ კავშირი აქვთ „მაუ-მაუს“ საზოგადოებასთან“, მუცლის ტიფის ეპიდემიამ იფეთქა. აღრიცხულია ტიფით დაავადების 400 შემთხვევა.

ლიბანის ახალი მთავრობა

ბეირუთი, 17 სექტემბერი. (საკდესი). შედგა ლიბანის ახალი მთავრობა. პრემიერ-მინისტრი და დაგებმის საკითხთა მინისტრია სამი სოლხი.

გამოხმაურება სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაზე

პეკინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ჩინეთის პრესა მკვეთრად აკრიტიკებს ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით მანილაში დადებულ ხელშეკრულებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ბლოკის შექმნის შესახებ, მიაჩნია რა, რომ იგი სერიოზულ საფრთხეს უქმნის ამ რაიონის ხალხთა მშვიდობასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას. „მშვიდობის“, „უშიშრობის“, „დამოუკიდებლობისა“ და „თავისუფლების“ შესახებ რა ლამაზი ფრაზებითაც უნდა ცდილობდნენ ხელშეკრულების ინიციატორები შენიღბონ ამ პაქტის ჭეშმარიტი არსი, წერს გაზეთი „გუანმინიბაო“, მისი აგრესიული მიზანდასახულობა სავსებით აშკარაა.

პაქტი, აღნიშნავს გაზეთი, მისი ორგანიზატორების განზრახვით, უნდა გახდეს იარაღი დასავლეთის კოლონიზატორთა და განსაკუთრებით ამერიკის იმპერიალიზმის ხელში მათი სამხედრო პოლიტიკის განსახორციელებლად და აზიაში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად. ამ სამხედრო-აგრესიული პაქტის მახვილი, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, მიმართულია ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ, აგრეთვე აზიის სხვა ხალხების წინააღმდეგ, რომლებიც თავიანთ თავისუფლებასა და ეროვნულ დამოუკიდებლობას იცავენ. ამჟამად მანილაში დადებული პაქტის საშუალებით ამერიკელ იმპერიალისტებს სურთ კვლავ გაამწვავონ მდგომარეობა აზიაში.

ბუქარესტი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გაზეთი „სკინტეია“, კომენტარს უკეთებს რა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის რაიონში სამხედრო ბლოკის შექმნის გამო, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამ განცხადებას ძვირფასი წვლილი შეაქვს მშვიდობის განმტკიცების საქმეში. „სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის თავდაცვის ხელშეკრულება“, აღნიშნავს „სკინტეია“, სინამდვილეში მიზნად ისახავს შეიარაღებული ინტერვენციის მოწყობას ამ რაიონის ყოველ ნაწილში, მუდამ და ყოველგვარი საბაბით. მის შედეგაში მონაწილეობა არ მიუღიათ აზიის ხალხებს. იგი მიმართულია ამ ხალხების წინააღმდეგ და უწინარეს ყოვლისა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ.

აზიის ხალხებთან ერთად, წერს დასასრულ გაზეთი „სკინტეია“, მთელი მსოფლიოს მშვიდობის ძალები კმაყოფილებით მიესალმებიან და სავსებით იწონებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებას — დოკუმენტს, რომელიც სახავს აზიის ხალხთა რეალური უშიშროების, შორეულ აღმოსავლეთსა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების პერსპექტივებს.

ჯაკარტა, 17 სექტემბერი. (საკდესი). ინდონეზიის გაზეთები თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებენ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში სამხედრო ბლოკის შექმნის შესახებ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების შინაარსს.

გაზეთმა „დუტა მაშარაკატმა“ ამ განცხადების შინაარსი გამოაქვეყნა დიდი სათაურით: „ხელშეკრულება აზიის ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიის პაქტია“.

გაზეთი „ხარიან რაქიათი“ აღნიშნავს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადების დიდ მნიშვნელობას და აცხადებს, რომ მთელი მსოფლიოს წინაშე მზილებულია ამერიკის მმართველი წრეების ახალი წამოწყება. გაზეთი მოუწოდებს ინდონეზიელ ხალხს გააძლიეროს სიფხიზლე.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის წინასაარჩევნო მოწოდება

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გუშინდელ სხდომაზე დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ განიხილა დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის წინასაარჩევნო მოწოდება.

განხილვაში მონაწილეობა მიიღეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის თვალსაჩინო პოლიტიკურმა და საზოგადო მოღვაწეებმა, დემოკრატიულ პარტიებისა და მასობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, აგრეთვე დასავლეთ გერმანიის მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა.

სხდომაზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ სხდომის მონაწილეთა ერთიანობა, რაც გამოვლინდა წინასაარჩევნო მოწოდების განხილვისას, ხელს უწყობს არა მარტო მშვიდობიანი მშენებლობის საქმეს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, არამედ გერმანიის მშვიდობისა და ეროვნული ერთიანობისათვის ბრძოლასაც.

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ეროვნულმა საბჭომ მიიღო წინასაარჩევნო მოწოდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსახლეობისადმი.

მოწოდებაში აღნიშნულია, რომ დემოკრატიული გერმანიის ეროვნულ ფრონტში გაერთიანებულმა დემოკრატიულმა პარტიებმა და მასობრივმა ორგანიზაციებმა გადაწყვიტეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო პალატისა და საოლქო სახალხო წარმომადგენლობათა (ბეიერკრატების) არჩევნებში 17 ოქტომბერს გამოვიდნენ კანდიდატთა ერთობლივი ერთიანი სიით, რადგან გერმანელი ხალხის სასიცოცხლო საკითხების გადაჭრა, გერმანიის გათიშვისა და ამერიკის სამხედრო კურსის წინააღმდეგ ბრძოლა, მშვიდობის უზრუნველყოფა, გერმანიის დემოკრატიული გაერთიანება და მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში საჭიროდ ხდიან გერმანელი ხალხის მთელი პატრიოტული და დემოკრატიული ძალების მჭიდროდ დარაზმვას.

ჩვენ მოვუწოდებთ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ყველა მოქალაქეს, რომელსაც ხმის უფლება აქვს, ნათქვამია მოწოდებაში, 1954 წლის 17 ოქტომბერს ხმა მისცენ კანდიდატთა ამ ერთიან სიას. ვინც ხმას მისცემს დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის სიას, იგი ხმას მისცემს მშვიდობის შენარჩუნებასა და განმტკიცებას.

მოუწოდებენ რა ამომრჩევლებს ხმა მისცენ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის კანდიდატებს, ეროვნულ ფრონტში გაერთიანებული დემოკრატიული პარტიები და მასობრივი ორგანიზაციები თავიანთ წინასაარჩევნო მოწოდებაში აცხადებენ, რომ ისინი იბრძოლებენ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციის წინააღმდეგ, საოკუპაციო ჯარების გაყვანისათვის, მთელი გერმანიის სუვერენიტეტის უზრუნველყოფისათვის, ყოველგვარი სამხედრო ხელშეკრულების დადების წინააღმდეგ, გერმანიასთან საზავო ხელშეკრულების დადებისა და გერმანიის როგორც დემოკრატიული სახელმწიფოს მშვიდობიანი გაერთიანებისათვის.

არის მშვიდობის ერთი რეალური და ყველასათვის ხელმისაწვდომი გზა, ნათქვამია შემდეგ მოწოდებაში. ეს გზა ნაჩვენებია საბჭოთა მთავრობის წინადადებებში ევროპის კოლექტიური უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ.

კოლექტიური უშიშროების სისტემა შეუძლებელს ხდის ომის კერის აღდგენას ევროპის გულში. ომი ევროპაში და გერმანელთა ძმათამკვლელი ომი გერმანელთა წინააღმდეგ არ იქნება, თუ დაიდება ევროპის ხელშეკრულება უშიშროების უზრუნველყოფის შესახებ. გერმანია მშვიდობიანი ქვეყანა გახდება, ხოლო ევროპა — მშვიდობიანი კონტინენტი.

შემდეგ მოწოდებაში წამოყენებულია მოთხოვნა, განახლდეს შეწყვეტილი მოლაპარაკება გერმანიის შესახებ გერმანის ორივე ნაწილის წარმომადგენელთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობით გერმანის ეროვნული ერთიანობის აღდგენის მიზნით.

ჩვენს ხალხს, ნათქვამია მოწოდებაში, არ შეუძლია მიანდოს და არც უნდა მიანდოს გერმანელთა სასიცოცხლო საკითხის გადაჭრა მხოლოდ ოთხ დიდ სახელმწიფოს. გერმანიის გაერთიანება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როცა თვით გერმანელები ერთად იბრძოლებენ ამისათვის. ამიტომ ჩვენ მტკიცედ მოვთხოვთ ურთიერთგაგებას გერმანელებს შორის. თვით გერმანელებმა უნდა აწარმოონ ერთმანეთთან მოლაპარაკება და შეთანხმდნენ...

დასასრულ ეროვნული ფრონტი მოუწოდებს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს 17 ოქტომბერს ხმა მისცენ დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის ერთიან სიას.

ინგლისელი ხალხი პროტესტს აცხადებს დასავლეთ გერმანიის შეიარაღების ახალი გეგმების წინააღმდეგ

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ინგლისში ფართოვდება სახალხო საპროტესტო მოძრაობა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების ახალი გეგმების წინააღმდეგ.

გამოხატა რა მშრომელ ქალთა მესწრაფება, ქალთა ეროვნულმა ასამბლეამ 16 სექტემბერს გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც მტკიცედ ვმობს ჰიტლერელ გენერალთა სარდლობით დასავლეთ გერმანიის აგრესიული არმიის შექმნის ახალ ცდებს.

„ჩვენ მტკიცედ გვაქვს განზრახული, — ნათქვამია განცხადებაში, — არ დავუშვათ გერმანელი მილიტარისტების ხელახალი შეიარაღება. ჩვენ კარგად გვახსოვს, რა უყვეს მათ ჩვენს ქვეყანას — გვახსოვს სამინელი ღამეები, ბომბსაფრები, დაჭრილები, მოკლულები, დანგრეული სახლები. ჩვენ არ დაუშვებთ, რომ ეს კვლავ გამეორდეს“.

განცხადების დასასრულს ქალთა ეროვნული ასამბლეა მოუწოდებს ყველა ინგლისელ ქალს გააძლიერონ ბრძოლა დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ.

როგორც გაზეთი „დეილი უორკერი“ იუწყება, ბრძოლა გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების წინააღმდეგ ფართოდ გაჩაღდა, შოტლანდიაში. შოტლანდიის ყველა ქალაქში იმართება მიტინგები, დემონსტრაციები, აგროვებენ ხელმოწერას პეტიციებზე დასავლეთ გერმანიის შეიარაღების გეგმების წინააღმდეგ. ლეიბორისტული პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების კრებებზე პარტიის რიგითი წევრები დავალებას აძლევენ თავიანთ დელეგატებს ლეიბორისტული პარტიის სკარბოროს მომავალ კონფერენციაზე ხმა მისცენ დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ. ბრძოლაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ინგლისის მდინარე კლაიდის ველის უდიდესი გემსაშენების მუშები.

ინგლისელი მრეწველები შეშფოთებული არიან იაპონიისა და დასავლეთ გერმანიის კონკურენციით

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). გამოხატავს რა ინგლისის სამრეწველო წრეების შეშფოთებას იაპონიის მზარდი კონკურენციის გამო საფეიქრო მრეწველობის პროდუქციის გასაღების დარგში, გაზეთი „დეილი ექსპრესი“ წერს: „ლანკაშირი (ინგლისის საფეიქრო მრეწველობის ცენტრი. — რედ.) უმუშევრობის პერსპექტივის საფრთხის წინაშეა. ამ საშიშროებას მეტად დიდი საფუძველი აქვს. იმ საკაჭრო ხელშეკრულების საშუალებით, რომელსაც ინგლისმა ხელი მოაწერა იანვარში, იაპონიას ახლა წელიწადში გააქვს 590 მილიონი იარდი საფეიქრო საქონელი ინგლისის კოლონიურ ბაზრებში. ეს უკვე აღემატება იმ საქონლის საერთო რაოდენობას, რომელსაც ყიდის ლანკაშირი ამ ბაზრებში“.

ასეთსავე შეშფოთებას გამოთქვამს გაზეთი „დეილი ტელეგრაფ ენდ მორნინგ პოსტი“ დასავლეთ გერმანიის კონკურენციის გამო. ამ საკითხისადმი მიძღვნილ სტატიაში გაზეთი აღნიშნავს „გერმანიის საექსპორტო ვაჭრობის საოცარ გაფართოებას“ და შემდეგ აცხადებს: ძლიერი კონკურენტის გამოჩენა საექსპორტო ბაზრებში ნიშნავს დაკვეთების დაკარგვას და შემოსავლის შემცირებას.

საერთაშორისო შეჯიბრება კრივში

სოფია, 17 სექტემბერი. (საკდესი). ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ გუშინ სოფიაში ვასილ ლევსკის სტადიონზე დაიწყო საერთაშორისო შეჯიბრება კრივში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებენ საბჭოთა კავშირის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდები.

რინგზე პირველი გამოვიდნენ უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები. უნგრელმა მოკრივეებმა შეხვედრა მოიგეს ანგარიშით 6:4. ბულგარეთისა და პოლონეთის გუნდების შეხვედრა დამთავრდა პოლონელ მოკრივეთა გამარჯვებით ანგარიშით 9:1.

ვილსონის გამოსვლა

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც პრეს ასოშიეიშნის სააგენტო იუწყება ყოფილმა ვაჭრობის მინისტრმა, პარლამენტის წევრმა — ლეიბორისტმა ჰაროლდ ვილსონმა 16 სექტემბერს ლონდონში განაცხადა:

ევროპაში ჩვენს თვალწინ იშლება არასახარბიელო სურათი — საგარეო საქმეთა მინისტრები და მათი მოადგილენი აქეთ-იქით აწყდებიან ევროპაში, ცდილობენ რა შეაიარაღონ დასავლეთი გერმანია.

იდენი და დალესი ამჟამად ლონდონში უეპველია იმისათვის თათბირობენ, რომ შეთანხმონ საფრანგეთის მთავრობაზე ზეგავლენა და აიძულონ იგი დაეთანხმოს ადენაუერის მოთხოვნას. იდენი გაცილებით უფრო მეტ სამსახურს გაუწევს მშვიდობის საქმეს, თუ ისარგებლებს ამ შესაძლებლობით და ნათლად ჩამოაყალიბებს ინგლისის დამოკიდებულებას იმის მიმართ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები იყენებენ დაქირავებულ აგენტებს ფორმოზაზე, რათა სხვისი ხელით დაიწყონ აგრესია ჩინეთის წინააღმდეგ. ინგლისი არასოდეს არ ცნობდა ფორმოზის უკანონო ოკუპაციას, რაც ამერიკამ მოახდინა, და იდენმა აშკარად უნდა განაცხადოს, რომ, თუ დალესი განაგრძობს პოლიტიკას, რომელიც ჩინეთთან შეიარაღებულ კონფლიქტამდე მიიყვანს ამერიკის შეერთებულ შტატებს, მას მარტო მოუხდება მოქმედება.

ქომუნიკე დალესისა და ადენაუერის მოლაპარაკების შესახებ

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, დასავლეთ გერმანიის ელჩი ბონიდან ოუწყება, დამთავრდა მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან დალესსა და დასავლეთ გერმანიის კანცლერ ადენაუერს შორის. დღეს ბონიდან ლონდონს გამგზავრების წინ დალესმა გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც ნათქვამია: მოლაპარაკებს მონაწილეობა „შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ გერმანიის სუვერენიტეტი უნდა აღდგეს უმოკლეს ვადაში. ამასთან ერთად ისინი შეთანხმდნენ, რომ გერმანიამ სრული თანასწორობის პირობებით უნდა მიიღოს მონაწილეობა ევროპის უშიშროების სისტემაში“ (ე. ი. ატლანტიკის ბლოკში). როგორც ცნობილია, სუვერენიტეტით იგულისხმება, ის, რომ დასავლეთ გერმანიას მიენიჭოს ხელახალი შეიარაღების შეუზღუდავი უფლება.

ორივე მინისტრის აზრით, ნათქვამია შემდეგ კომუნიკეში, ამ გეგმის განხილვა „უნდა გაგრძელდეს, როგორც კი ეს პრაქტიკულად შესაძლებელი აღმოჩნდება, სხვა დაინტერესებულ მთავრობათან, და ჩრდილოეთ ატლანტიკის კავშირის (ნატო) სხდომის შემდეგ იგი უნდა გადაიცეს კონკრეტულ მოქმედებად“.

ბერლინი, 17 სექტემბერი. (საკდესი). ცნობაში „საიდუმლო თათბირი ბონში“ გაზეთი „ტელეგრაფი“ წერს, რომ დალესისა და ადენაუერის მოლაპარაკების მთავარი თემა იყო რემილიტარიზაციის საკითხი.

კომენტარს უკეთებს რა სარედაქციო სტატიაში დალესის ევროპაში გამგზავრებას და მის მოლაპარაკებს ადენაუერთან, გაზეთი „ტელეგრაფი“ თვლის, რომ ამ მგზავრობამ გაართულა იდენისა და მენდეს-ფრანსის მოლაპარაკება.

დალესი ლონდონს ჩავიდა

ლონდონი, 17 სექტემბერი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტო იუწყება, დღეს ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი დალესი ლონდონს ჩამოვიდა ინგლისის მთავრობასთან მოსალაპარაკებლად.

ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება პარიზში

პარიზი, 16 სექტემბერი. (საკდესი). დამთავრდა ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება პარიზში — დასავლეთ ევროპის ქვეყნების ოთხი დედაქალაქიდან უკანასკნელ დედაქალაქში, სადაც ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრ იდენს თათბირი ჰქონდა „ევროპის თავდაცვითი გაერთიანების“ ჩაფუშვის შემდეგ დასავლეთ გერმანიის ხელახალი შეიარაღების გეგმების შესახებ.

ფრანს პრესის სააგენტოს კომუნიკეში მენდეს-ფრანსთან იდენის მოლაპარაკების შესახებ ნათქვამია, რომ „არის თანხმობა“ იმაზე, რომ „საჭიროა განვითარდეს და განმტკიცდეს ატლანტიკის გაერთიანების საქმიანობა“ და რომ „სრული შეთანხმებაა“ „დიდი ბრიტანეთის სრული მონაწილეობით ევროპის ერთიანობის“ საკითხში. შემდეგ კომუნიკეში აცხადებენ, რომ იდენმა და მენდეს-ფრანსმა „განიხილეს საშუალებანი“ დასავლეთ გერმანიის „შეერთებისა“ „თავისუფალი სამყაროს ქვეყნებთან“ (ასე უწოდებენ კომუნიკეში დასავლეთის ქვეყნების დაჯგუფებას).

დიდი ხანძარი პარიზში

პარიზი, 18 სექტემბერი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტოს ცნობით, გუშინ დილით პარიზში ფირმა „ვილმენტერ-ადრიეს“ (რომელიც ვაჭრობს მარცვლეულითა და თესლით) შენობებში მოხდა დიდი ხანძარი, რომლის შედეგადაც რამდენიმე საათში დაიწვა საწყობები 10 ათას-კვადრატულ მეტრ ტერიტორიაზე.

წინასწარი ცნობების თანახმად, ხანძარმა 500 მილიონი ფრანკის მატერიალური ზარალი გამოიწვია.

საბავშვო სახლის აღსაზრდელები

ქალაქ ხაშურში, ზემო სერის ძირში, მოჩანს აგურის კაპიტალური ლამაზი შენობა, რომელიც ეკუთვნის ამიერკავკასიის რკინიგზის ხაშურის № 1 საბავშვო სახლს. შენობის ორ მხარეს გაშენებულია დეკორაციული ბაღი, რომელიც დასვენების საუკეთესო ადგილს წარმოადგენს. საბავშვო სახლში ამჟამად 99 ბავშვია. აქ არიან ქართველები, რუსები, სომხები და სხვა ეროვნების ბავშვები.

საბავშვო სახლის მომსახურე პერსონალი მრავალმხრივ ნაყოფიერ მუშაობას ეწევა ნორჩი თაობის სწავლა-აღზრდისათვის. ბავშვები უზრუნველყოფილი არიან საუკეთესო ბინით, ჩაცმით, კვებითა და გართობით. აქვთ კარგად მოწყობილი პიონერთა ოთახი, სადაც აქვთ პიანინო, სიმებიანი და სასულე ორკესტრი, აკორდეონი და სხვა ინსტრუმენტები. ბავშვთათვის ჩამოყალიბებულია ლიტერატურის, ჭადრაკის, ნორჩ მიჩურინელთა, მოცეკვავეთა, მომღერალთა და ფიზკულტურის წრეები. ყოველდღე ეწყობა დილის გამამხნევებელი ვარჯიში.

სახლის აღსაზრდელები ზაფხულის ცხელ დღეებს კუროორტებზე ატარებენ. წელს ისინი კურორტ დაბაში ისვენებდნენ, იქ მათ შეხვედრა მოუწყეს პოეტ-აკადემიკოსს ამხ. ი. გრიშაშვილს და მომღერალ ქ. ჯაფარიძეს.

აღსაზრდელები ენერგიულად შეუდგნენ სწავლას ხაშურის №№ 13 და 14 საშუალო სკოლებში. ბევრი მათგანი ფრიადებზე და კარგებზე სწავლობს. დიდი ჩინელი ერის გოგონა ზინა ვან ხუნ-ძინა მე-13 რუსული საშუალო სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლეა. მან კარგად შეისწავლა ქართული და რუსული ენები.

საშუალო სკოლის კურსდამთავრებულთაგან ბევრი უმაღლეს სასწავლებლებში სწავლობს. ი. ქიმერიძემ, რომელმაც საშუალო სკოლა ოქროს მედლით დაამთავრა, ახლა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსის სტუდენტია, ვერცხლის მედალოსანი თინათინ ჭანკოტაძე — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობს.

მხიარულად გადის დღეები სახლში. სახლის დირექტორი ქეთევან დავითაშვილი, აღმზრდელები თინათინ გიორგაძე, ანა თევზაძე და სხვები ენერგიას არ ზოგავენ ნორჩი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდისათვის.

სურათზე: წინა პლანზე მარცხნიდან მარჯვნივ ჩინელი გოგონა ზინა ვან ხუნ-ძინა, ემა აბაიაძე და გიორგი კუსრაშვილი ბიბლიოთეკაში ჭადრაკს თამაშობენ.

ფოტო გ. ქიმერიძისა.

თბილისს ჩამოვიდნენ გულგარელი მსახიობები

18 სექტემბერს თბილისს ჩამოვიდა ბულგარელ მსახიობთა ჯგუფი. მის შემადგენლობაში არიან დიმიტროვის პრემიის ლაურეატები სოფიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ი. ოსიფოვი, მევიოლინე, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ნ. სიმიონოვა, სოფიის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტი ნ. აფეიანი, აგრეთვე სოფიის რადიოს სოლისტები მომღერალი ი. კარაიანოვი, ბულგარული ხალხური ინსტრუმენტების დამკვრელი ც. ბლაგოევი და კონცერტმაისტერი ე. მინდიზოვა.

ბულგარული ხელოვნების ოსტატებს შეხვდნენ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის მოადგილე პ. კანდელაკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტები ა. ხორავა, ა. ვასაძე და სხვები.

ბულგარელი მსახიობები თბილისში გამართავენ ორ კონცერტს. (საქდესი).

ახალი წყალსადენის მშენებლობა სოფლად

თბილისის გარეუბნის რაიონის ზოგიერთ სოფელში დაიწყო წყალსადენის მშენებლობა. სოფლების დიღმის, გლდანისა და ორთაჭალის კოლმეურნეობებმა წყალსადენის გასაყვანად უკვე შეასრულეს მიწის პირველი რიგის სამუშაოები მილების ჩასაწყობად. მომავალი წლისათვის აღნიშნული სოფლების კოლმეურნეები მიიღებენ ბულაჩაურის სასმელ წყალს.

სსრ კავშირის თასზე

დღითიდღე მცირდება სსრ კავშირის 1954 წლის თასის გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელთა კოლექტივების რიცხვი. ყოველი ასპარეზობა ხასიათდება მძაფრი ბრძოლით. მოწინავე გუნდებთან ერთად წარმატებით იბრძვიან ახალგაზრდა კოლექტივები.

ლენინგრადის ოფიცერთა საოლქო სახლის ფეხბურთელებმა ოსტატთა სამი გუნდი დამარცხეს ზედიზედ და მეოთხეფინალში გავიდნენ. მეოთხეფინალში გავიდა აგრეთვე დნეპროპეტროვსკის „მეტალურგი“. ამ გუნდების მატჩში გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს ნახევარფინალურ შეჯიბრებაში.

მეოთხეფინალში მონაწილეობისათვის იბრძვიან: მოსკოვის „სპარტაკი“, სტალინოს „შახტიორი“, მინსკის „სპარტაკი“, და სხვა გუნდები.

საბჭოთა არმიის ცენტრალური სახლის გუნდმა დონის როსტოვში დაამარცხა ადგილობრივი „ტორპედო“ ანგარიშით 4:0 და მერვეფინალში გავიდა.

კიევის დინამოელებმა ანგარიშით 4:2 დამარცხეს ვილნიუსის „სპარტაკის“ ფეხბურთელთა კოლექტივი და მერვეფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს.

რედაქტორის მოადგილე
რ. ჟურციკიძე.

„საქმთავარსოფლმომარაგებ-ბის“ სამმართველო მტს-ების, კოლმეურნეობების და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი ყველა კლიენტის საყურადღებოდ აცხადებს, რომ წლიურ ინვენტარიზაციასთან დაკავშირებით ცენტრალურ ბაზაში ამა წლის 1 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე, ხოლო სარაიონთაშორისო განყოფილებების საწყობებში 1 ნოემბრიდან 5 ნოემბრის ჩათვლით, ყოველგვარი საქონლის გაცემა შეწყვეტილი იქნება ყველა ანგარიშით. მიღებული საქონელი გატანილ უნდა იქნას 1 ნოემბრამდე, რის შემდეგ არავითარი პრეტენზია არ მიიღება.

მოქალაქე დ. შ. ზუმბულიძემ, მცხოვრებმა რუსთაველის პრ. № 24, აღძრა საქმე გრიბოედოვის ქ. № 20 მცხოვრებ მოქალაქე ლილი შალვას ასულ კალანდარიშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის კალინინის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე პავლე გიორგის-ძე ოსკანაშვილმა, მცხოვრებმა ჯაფარიძის ქ. № 20, აღძრა საქმე ქალი ეკატ